გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: roland.jalagania@mail.ru

№355 (414) 29 მარტი – 5 აპრილი 2016 წელი სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე



## გიორგი კეკელიძე: ქართველები და აფხაზები საერთო ანთოლოგიას მოვამზადებთ

გვ. 2

## გიორგი გიგაური: თქვენს ნაპროკურალ-ნახიშტარ კონრიტა გვარამიას ჩაეკითხეთ, ასე ცხვრებივით რომ დაგვანწყოთ, პირდაპირ ეთერში ასაბღავლებლად!

გვ.7

## სვატოპლუკ ჩეხი: მოგზაურობა კავკასიაში

თარგმანი ალ. კაკულიასი

გვ.5

## როლანდ ჯალაღანია: დიახ, ეს თქვენ, მხოლოდ თქვენ გეხებათ, ასო-ებო!

გვ.3



## 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა!

სულმნათ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან ერთად, თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით დასამარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეა!

გვ.3

## იზა თამაზაშვილი: მე ქართველი ვარ და არა ევროპელი

გვ.9

## ნაპო მესხია: აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

გვ.7



## ზურაბ ქევანიშვილი: ღირსეული ქართველის იუბილე

გვ.4

# გიორგი კეკელიძე: ქართველები და აფხაზები საერთო ანთოლოგიას მოამზადებენ



მიმდინარე წლის მარტის თვეში მოლდოვაში გაიმართა შეხვედრა აფხაზური ენის დაცვის საკითხზე, რომლის მონაწილეები იყვნენ ქართველი და აფხაზი მწერლები, ლინგვისტები. პროექტი, რომლის სახელწოდებაცაა **„აფხაზური ენის დაცვა აფხაზების და ქართველების მიერ“**, 2015 წლის სექტემბერში დაიწყო. დონორი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო US-AID-ია, პროექტის ხანგრძლივობა ორი წელია. რა იგეგმება აფხაზური ენის დაცვის კუთხით როგორც ლინგვისტური, ასევე ლიტერატურული თვალსაზრისით, ამ საკითხზე **„ლაივპრესი“** შეხვედრის ერთ-ერთ მონაწილეს, მწერალს და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, გიორგი კეკელიძეს ესაუბრა.

**„ლაივპრესი“:** ვიცით, რომ იმყოფებოდით მოლდოვაში, სადაც შეხვდით აფხაზ მწერლებს. გვითხარით ამ შეხვედრის შესახებ.

**გიორგი კეკელიძე:** ეს შეხვედრა ტარდებოდა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. USAID-ის დაფინანსებით, ამერიკელების თანადგომით. რეალურად მათი ინიცირებულიც იყო გარკვეულწილად. პროგრამის ზოგადი ქოლგა იყო აფხაზური ენის დაცვის მიმართულებით მუშაობა. შეხვედრა ძირითადად ამ საკითხებს ეხებოდა. ცხადია, არ ყოფილა არც პოლიტიკა და არც მომიჯნავე საკითხები. ძირითადად მუშაობდა ორი ჯგუფი. ერთი იყო ლინგვისტების ჯგუფი, და მეორე მწერლების, სადაც განიხილებოდა ცხოვრებისეული ღირებულებების თემატიკასთან დაკავშირებული ტექსტების შექმნის საკითხი.

**„ლაივპრესი“:** ლინგვისტთა ჯგუფი როგორ იყო დაკომპლექტებული, ქართველებით, აფხაზებით...?

**გიორგი კეკელიძე:** გერმანელები, ქართველები, აფხაზები და მოლდოველი მოდერატორი, ფასილიტატორი, რომელიც უძღვებოდა ამ შეხვედრას. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, აქაც იგივე მდგომარეობა იყო.

**„ლაივპრესი“:** ქართველების მხრიდან ვინ მონაწილეობდა ამ შეხვედრაში?

**გიორგი კეკელიძე:** ვიყავით მე, დათო ტურაშვილი, გურამ ოდიშარია და სალომე ბენიძე.

**„ლაივპრესი“:** მაინც რა მიმართულებით განვითარდა საუბარი, გასაგებია, რომ აფხაზური ენის დაცვას შეეხებოდა და უჭირს დღეს ამ ენას..

**გიორგი კეკელიძე:** რაც შეეხება ლინგვისტურ ნაწილს, ამაზე სხვები გიპასუხებენ. რაც შეეხება ლიერატურას, აქ იყო იმ ტენდენციებზე, რაც მიმდინარეობს დღეს ქართულ და აფხაზურ ლიტერატურაში. ძირითადად რა სხვაობებია, რა გადაკვეთები არსებობს, როგორ ვითარდება მწერლობა, არის თუ არა ის სოციალურად აქტიური, ან პირიქით, და ა.შ.

**„ლაივპრესი“:** თავად აფხაზი მწერლები რაზე საუბრობდნენ, რა პრობლემების წინაშე დგანან ისინი აფხაზეთში?

**გიორგი კეკელიძე:** სიმართლე გითხრათ, პრობლემებთან დაკავშირებით საუბარი თითქმის არ ყოფილა. უფრო იყო თვისობრივი თვალსაზრისით განხილვები. ანუ იგულისხმება ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია და ა.შ. რაც შეეხება ამ სოციალურ პრობლემებს, რატომღაც ეს საკითხი დიდად არ გამოკვეთილა შეხვედრებისას.

**„ლაივპრესი“:** გამოცდილება თუ გაუზიარეთ ერთმანეთს?

**გიორგი კეკელიძე:** რა თქმა უნდა, იყო გამოცდილების გაზიარებაც, მათ შორის იყო საუბარი და არის საუბარი იმაზე, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში, როდესაც ამ ტექსტებზე ვიმუშავებთ, ავიღოთ ცამეტი პრინციპი, რომელიც იუნესკოს აქვს მომზადებული და გულისხმობს ცხოვრებისეულ ღირებულებებს, ცხადია პოზიტიურ ჭრილში. ძირითად ღირებულებებზეა საუბარი, როგორიც არის სიყვარული, თანადგომა, სიკეთე და ა.შ. და სწორედ ამ მოცემულობების ირგვლივ იტრიალოს იმ ნაწარმოებებმა, რომელიც შეიქმნება.

**„ლაივპრესი“:** როგორ ფიქრობთ, გიორგი, რა პოზიტიური როლი უნდა ითამაშოს პროექტმა აფხაზური ენის დაცვაში. ამ საკითხზე აფხაზებისგან რა განწყობები, რა დამოკიდებულება იყო?

**გიორგი კეკელიძე:** აუცილებლად უნდა ითამაშოს პოზიტიური როლი. ძალიან ბევრი ტექსტი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია შენახული, და შეგვიძლია ტექნიკური თვალსაზრისით შეიქმნას შესაბამისი ენობრივი კორპუსი. აქ იგულისხმება თანამედროვე სისტემები, სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა აფხაზური სიტყვა შესაბამის კონტექსტში. აქედან გამომდინარე მისი ერთგვარი ვირტუალურ სივრცეში გადამისამართება მოხდება. ვგულისხმობ იმ წიგნებს და გაზეთებს, რომლებსაც ჩვენ ვინახავთ, თუნდაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

**„ლაივპრესი“:** შეიძლება ეს ფორმატი გაფართოვდეს?

**გიორგი კეკელიძე:** ამ წუთას ამ ფორმატის გაფართოებაზე საუბარი არ არის. აქ ასევე არ არის საუბარი რაღაც როლსა და მისიაზე პოლიტიკური თვალსაზრისით. ჩვენ არ ვსაუბრობდით ამ საკითხებზე. ეს არ ყოფილა ამ შეხვედრების თემატიკა.

**„ლაივპრესი“:** ეს ერთჯერადი შეხვედრა იყო?

**გიორგი კეკელიძე:** ოთხი დღე დავყავით მოლდოვაში და აქედან სამი შეხვედრა გაიმართა.

**„ლაივპრესი“:** როგორ შეგხვდნენ აფხაზები ქართველებს? თუ იყო რაღაც გარკვეული ბარიერები საგრძნობი?

**გიორგი კეკელიძე:** ბუნებრივია თავიდან იყო რაღაც ერთგვარი ბარიერი გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ორივე მხარემ ძალიან ადვილად მოახერხა ერთმანეთში პირველ რიგში ადამიანების და პროფესიონალის დანახვა და შესაბამისად ურთიერთობაც, საქმიანობაც ადვილად წარიმართა. მით უმეტეს, რომ ჩვენ არ ვსაუბრობდით არც პოლიტიკაზე და არც სხვა მომიჯნავე თემებზე.

**„ლაივპრესი“:** თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მათზე? არ ვიცი ადრე თუ გქონდათ შეხება ეთნიკურად აფხაზებთან..

**გიორგი კეკელიძე:** მე პირადად არ მქონია შეხება და ჩემი შთაბეჭდილება არის უკიდურესად პოზიტიური. გადავწყვიტე ბწკარედებიდან ვთარგმნო ორი ავტორი, რომელსაც ისინი შემომთავაზებენ. საქართველოში მცხოვრები აფხაზები მოამზადებენ ამ ბწკარედებს.

**ძალიან ბევრი ტექსტი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია შენახული, და შეგვიძლია ტექნიკური თვალსაზრისით შეიქმნას შესაბამისი ენობრივი კორპუსი. აქ იგულისხმება თანამედროვე სისტემები, სადაც თავმოყრილი იქნება სხვადასხვა აფხაზური სიტყვა შესაბამის კონტექსტში. აქედან გამომდინარე მისი ერთგვარი ვირტუალურ სივრცეში გადამისამართება მოხდება. ვგულისხმობ იმ წიგნებს და გაზეთებს, რომლებსაც ჩვენ ვინახავთ, თუნდაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში.**

**„ლაივპრესი“:** გიორგი, რას ელოდებით ამ შეხვედრებიდან?

**გიორგი კეკელიძე:** ამ შეხვედრებს ქონდა ერთი ძალიან მარტივი მიზანი, რომ ლინგვისტების შემთხვევაში მომხდარიყო ერთგვარი შეთანხმება, რა ტიპის კორპუსი შეიქნება. რაც შეეხება ლიტერატორებს, ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, შეიქმნება ცხოვრებისეულ ღირებულებებზე დაფუძნებული ტექსტები.

ნინო თოლორაია

# კოლხური ხოხობი გაქრობის პირასაა



ნაცნობმა არქეოლოგმა მიამბო: – ამას წინათ მეტეხთან ვახტანგ გორგასლის დროინდელ სამარხს ვთხრიდით, უცებ ხოხობი დაეშვა ციდან და სამარხში მოწყვეტით ჩაენარცხა, მღელვარებისგან ყველანი დავმუნჯდითო...

ქართულ ცნობიერებაში საქართველო არა მხოლოდ გმირი წინაპრებით ინახება, არამედ ნადირ-ფრინველითაც, რომლების ჩვენი ქვეყნის სამკაულად გაუჩენია განგებას. კოლხური ხოხობი ერთადერთი ფრინველია, რომელიც მხოლოდ ქართულია და მსგავსი არავის ჰყავს. ამას უძველესი ლეგენდაც ირწმუნება, – ცბიერმა არგონავტებმა ოქროს საწმისთან ერთად ეს ულამაზესი ფრინველიც წაიყვანეს ევროპაში და გაამრავლესო. ახლა კი აღმოჩნდა, რომ შეიძლება ბუნების ეს საჩუქარიც დავკარგოთ... ალბათ ბევრს გაუკვირდება, რომ ამ თემაზე სასაუბროდ ფრინველებზე მონადირესთან მივედი.

**თეიმურაზ ლომინაძე:** – მონადირეები ყველაზე კარგად ვხედავთ, როგორ იკლებს ნადირ-ფრინველი... ჩვენი უტვინობით თითქოს საგანგებოდ მივერეკებით ჩვენი მიწიდან. ამას წინათ ყური მოვკარი, ბორჯომის ხეობაში სულ 10-12 ირემი იქნება დარჩენილიო. კანონით კი თურმე ამათი დახოცვაც შეიძლება, მთავარია, დიდი ფული გადაიხადო. ალბათ უცხოელ ტურისტებს დაახოცვინებენ. დღეს სამონადირეო მეურნეობები ტურისტი მონადირეების მოზიდვას დიდი მონდომებით ცდილობენ. ისინიც, მოვლენ, დახოცავენ და წავლენ... ან ვინ იტყვის უარს კოლხური ხოხბის მოკვლაზე, ასეთი ლამაზი ჯიშის ხოხობს ხომ მთელ მსოფლიოში ვერ იპოვის. ხასიათიც კი თითქოს აქაურად ამაყი და მკაცრი აქვს. თუ ვინიცობაა, ვინმე მის ბუდეს შეეხო, იქ აღარ დაბრუნდება.

ვის ახსოვს, რომ ჩვენი ფრინველები და მათ შორის, ხოხობიც წითელი წიგნშია შეტანილი?!

დაუჩემებიათ, რა მოხდა, ტურისტმა თუ ნადირობაში ფული გადაიხადა, ყველგან ასეაო. მართლაც ასეა. ევროპაში მილიონობით ხოხობს ხოცავენ ტურისტები, აფრიკაში კი იმდენ ბეჰემოთსა და სპილოს, რომ მთელი აფრიკის ცხოველები გაწყვეტილი უნდა იყოს, მაგრამ ისეთ პირობებს ქმნიან, ნადირ-ფრინველი ისევ მრავლდება. ევროპაში მილიონობით ხოხობი იჩეკება ინკუბატორებში და მერე უშვებენ ბუნებაში. რა დაეტყობა იმათ ბუნებას, სეზონზე მართლაც მილიონი ხოხობი რომ დახოცონ! ჩვენს სამონადირეო მეურნეობებს კი ადგილობრივი ნადირ-ფრინველის გამრავლება აზრად არ მოსდით. ან რატომ გაამრავლებენ, მაგალითად, კოლხურ ხოხობს, როცა ამაზე გაცილებით იოლი ევროპული პარკის ხოხბის ჩამოყვანა და გაშვებაა. გაუშვეს კიდეც, საკუთარი თვალით ვნახე ჩვენთან დახოცილი ევროპული პარკის ხოხობი, რომლის ცნობას არაფერი უნდა, – ისინი ჩვენს ხოხობზე მცირე ზომისანი არიან, კისერზეც თეთრი ზოლი აქვთ მოვლებული... არ ვიცი, ვერ ხვდებიან, ამით რას სჩადიან, თუ არ აინტერესებთ. სადაც ეს ხოხობი ჰყავთ, იქვე კოლხური ხოხობიც ხომ არის. შეეჯვარება ევროპულს და მორჩა! ფრინველს დააბამ, დაუშლი, – არ გამრავლდეო, თუ რას იზამ? სულ ორი სეზონია საკმარისი, რომ ჩვენი ხოხობი გადააჯიშოს და ამ სილამაზესაც სამუდამოდ გამოვეთხოვებით.

## ნუ მაშინებთ

– ნეტავი ვინმეს მართლაც შეეშინდებოდეს და ამაზე დაფიქრდებოდეს. არის ხალხი, რომელიც ფულისთვის არაფერს ერიდება... ფილოსოფოსი არა ვარ, მონადირე ვარ, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, რომ ბუნებაში ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, სიცოცხლე ერთი ჯაჭვია და ყველა სულდგმული ერთმანეთის იმედით არსებობს – სალი კლდეების შურთხიც კი უკან დასდევს ჯიხვებს, საფრთხეს რომ შეამჩნევს, უსტვენს და აფრთხილებს, – თავს უშველეთო. ვინც ამ ჯაჭვს წყვეტს და ვერ ხვდება, რას აკეთებს, უგუნურია და დანარჩენებმა უნდა შევაჩეროთ!

ჩვენ დავუკავშირდით ენერგეტიკისა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს პრესსამსახურს, სადაც განაცხადეს, რომ ამ ევროპული პარკის ხოხბის საქართველოში შემოყვანის ფაქტზე არაფერი იციან, მაგრამ თუკი ასეთი რამ ხდება, აუცილებლად უნდა იყოს გაწერილი სამონადირეო მეურნეობების მართვის წესებში.

ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე სამონადირეო მეურნეობა არსებობს და თითოეული მათგანის მართვის წესების შესწავლა შესაბამისი სამსახურების საქმეა. თუმცაღა მეცნიერ-ორნიტოლოგებში მოძიებული ინფორმაციით, ევროპული ხოხობი (და ასევე სხვა ენდემური ჯიშებისთვის საშიში სახეობებიც) ჩვენში ნამდვილად შემოყვანილია და მათი გამრავლებაც მიმდინარეობს. ინტერნეტსაიტებზე შემაშფოთებელ წერილებს წაიკითხავთ, იმის შესახებ, რომ სამონადირეო მეურნეობები ევროპულ ხოხობს ამრავლებენ, რადგან ეს უფრო იოლი საქმეა, ვიდრე კოლხური ხოხობის გამრავლება და იქვე დასძენენ, რომ მალე ჩვენი ხოხბისგან მხოლოდ ლეგენდა დარჩება(!).

მამალი ხოხობი წონით 1.600 გრამს აღწევს, დედალი კი 800 გრამია. კოლხურ ხოხობს ძლიერი ფეხები, არაჩვეულებრივად ლამაზი ფერის მოკლე ფრთები და გრძელი ბოლო აქვს. მამალს დეზებიც ამშვენებს. იყო დრო, როდესაც ეს ფრინველი მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული – კოლხეთის დაბლობზე, მტკვრის, ივრისა და ალაზნის ჭალებში. კოლხური ხოხობი დებს 8-12, ზოგჯერ 18 კვერცხს. იკვებება მცენარეულობით, უფრო სარეველათა თესლით და მწერებით.

ხოხობი რომ ქართული, აბორიგენი ჯიშია, ისიც ადასტურებს, რომ მას ყველა ევროპულ ენაში ფაზანის – ფაზისი, კოლხი ჰქვია.

თითქოს სომხები არ გვყოფნიდა – ახლა თურქებმა ქალაქ სამსუნში ჩვენი ხოხბის ძეგლი წამომართეს და გამოაცხადეს, – ხოხობი თურქეთის შავი ზღვის სანაპიროს ქალაქ სამსუნის შემოგარენის მკვიდრიაო. ამ მშვენიერი ფრინველის სამეცნიერო სახელწოდებაა Phasianus-colchicus. Phasianus მდინარე ყიზილირმაკის ძველი სახელწოდებაა, ხოლო colchicus მომდინარეობს დღეს პირისაგან მიწისა აღგვილი შავიზღვისპირული სახელმწიფოს Colhiaსგან.

# 31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა!



**სულმნათ ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან ერთად, თუ სამუდამოდ არა, დიდი ხნით დასამარდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეა!**

## და გათენდება დილა დიდი აღსარებისა

*ეძღვნება ზვიად გამსახურდიას*

მოწამებრივი განვლილია გზა ეკლიანი,
დიდ მოწამეთა ხარ მემკვიდრე ივერთ პატრონო,
ლოცვად დამდგარა ერი შენი, ნათელმოსილი,
ზვიად ბატონო!
ჩახერგილია ყველა გზა და ყველა გზაწვრილი,
დაცემის ჟამმა გაუძლისი მსხვერპლი ინება,
გელათში, ალბათ, გადაბრუნდა მეფე დავითი.
საქართველოში ქართველთათვის ვინც რომ იმეფა.
შემორღვევია მზის საბადოს რკინის კარები
და ღვთის საყდარში სანთელს ანთებს, თავად, ბარაბა,
სვეტიცხოვლიდან დედო ზარები ეშმამ გაკაფა
ოოო, დიდ დაცემას მოსდევს ჟამი ამაღლებისა,
და ღვთის სანთლში გაეხვევა მთელი სამყარო...
ღვინო წყლად ექცეს, ჟამი-თივად, მიწასაკვებად,
ვინც რომ გაგვყაროს.
და გათენდება დილა დიდი აღსარებისა
და გაბრწყინდება ივერია-ჩვენი სამშობლო
დაგელოდება შენი ერი ნათელმოსილი
ზვიად ბატონო!

## დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს კანონიერ და ქვეყნის სიყვარულს შეწირულ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას!

ჩვენო ღირსეულო პრეზიდენტო, სულ მალე დადგება ის დრო, როცა მსოფლიოს ავუფრიალებთ თვალწინ მათ მიერვე მიღებულ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელშიც წერია: „საქართველო არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო.“

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილის აქტის საფუძველზე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას! საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა სწორედ, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების საერთშორისო სამართლებრივი მემკვიდრეობის საფუძველზე უნდა მოხდეს.

„მაინც ვერ მოჰკლეს“!

გფარავდეთ ღმერთი!

საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ ოსი ეროვნების მებრძოლნი, სამშობლოსა და პრეზიდენტის სიყვარულისთვის დასჯილნი, ნაწამები, განდევილნი სამშობლოდან, როგორც სამშობლოს მოღალატე ქართველების და ასევე უმადური ოსების მიერ.

დიანა საააკაშვილი, ეთერ ყარაშვილი, ირაკლი მელაძე, ვენერა ზადიშვილი, ლიანა ავლოხაშვილი, აზა კარმაზოვა, მარინა ხაჩირაშვილი, ლიზა გურმაზოვა, რამაზ თებიშვილი, ნუგზარ კუდუხაშვილი, ლერი გაგლოევი, ზურა ბედოშვილი, აზა ხაჩიროვა, ჯემალ მარგიევი, გივი ჩოჩიევი, ნოდარ ქეთიშვილი.

სულ, 3035 მებრძოლის სახელით!

სირია, დამასკო

# დიახ, ეს თქვენ, მხოლოდ თქვენ გეხებათ, ასო-ებო!

**(გამოხმაურება გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილ ჟურნალისტ გელა ჯიღაურის წერილზე: "ქალი – საოცარი მოვლენა")**

საქართველოს პროგრესული საზოგადოების პროტესტი ნამდვილად თქვენ გეხებათ, იმ **ასო**-ებს, არასამთავრობო ორგანიზაციებად რომ ხართ მონათლული და სინამდვილეში ავადსახსენებელი ნაციონალებისა და მათი უცხოელი მფარველების დავალებებს რომ ასრულებთ ფარულად, დიდი ფულის ფასად, საძრახისი მეთოდებით, **"მეხუთე კოლონის"** ინსტრუქციებით რომ მოქმედებთ და ნაცთა არაჯანსაღ ინტერესებს სწირავთ ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობის პრინციპებს!

ახლაც, როცა თქვენივე დამქირავებელი ნაცდაშნაკების მიერ შექმნილი სიბინძურეების დემონსტრირების შემდეგ ატეხეთ წიოკობა და ხელს მოქმედი ხელისუფლებისაკენ იშვერთ, რატომღაც იმის გახსენება არც თქვენ და არც ნაციონალებს არ გსურთ, რომ მთელი ეს ბინძური პროვოკაციული ინდუსტრიის სათავეში სწორედაც რომ ნაცდაშნაკები და მისი თავქარქაშა **"ბელადი"**, აშკარა მანიაკალური გადახრების მქონე არაქართველი მიხეილ (გარეგინ) სააკიანცი დგას და ახლა ოდესიდან აფათურებს თავის ბინძურ და სისხლიან ხელებს საქართველოს გულ-ღვიძლში!

დიახ, მხოლოდ მიხეილ სააკიანცისმაგვარ ავადმყოფურ არსებას შეიძლებოდა მოსვლოდა თავში შეექმნა ადამიანების წამებისა და პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების კართოტეკა და სიამოვნება მიეღო ამ მასალების ცქერაში. ახლა კი, ეს გიგაურლომჯარიძე-ნაცვლიშვილები და ნაცთა მიერ შეკოწიწებული სხვა **ასო**-ები, ყველა ადგილებიდან თმების გლეჯით წიოკობენ და აღშფოთებას გამოთქვამენ იმ ხელისუფლების მიმართ, რომელთაც ვერ აღკვეთეს ფარულად გადაღებული კადრების სოციალურ ქსელებში გავრცელება.

სწორედ აქ ისმის რამდენიმე შეკითხვა, რომლის არდამნახავი და რომლისაგან თავის ამრიდებელი იურიდიული თუ კერძო პირი ან დებილი უნდა იყოს, ან ანგაჟირებული და ფარული ზრახვებით ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედი არამზადა! მართალია, ნაცდაშნაკებისათვის ყოველი ეს ეპითეტი ზედგამოჭრილია და მათი დამახასიათებელი პალიტრა კიდევ უფრო გამდიდრდება, თუ მას დავამატებთ სხვა აუცილებელ ეპითეტებსაც: **"უტიფარი, რელიგიური ხორცმეტი, ბიოლოგიურად არასრულყოფილი მახინჯი გადახრების მქონე არსება, ქურდი, პოლიტიკური თუ მენტალური მეძავი, არაკაცი, არაქალი..."** ყოველი მათი ნაკლის ჩამოთვლას ნამდვილად არ ეყოფა ერთი საგაზეთო გვერდი!

მაშ ასე, შეკითხვა **№1** – როგორ შეიძლება პირადი ცხოვრების ამსახველი ფირების წარმომავლობაზე ნორმალურ ადამიანს გაგიჩნდეს ეჭვი და დანაშაული **"ოცნების"** ხელისუფლებას დააბრალო, როცა აღმოჩენილი 100.000 ფირი სწორედაც რომ ნაციონალების ხელისუფლების მიერ იყო შექმნილი.

**№2.** რატომ ერთხელ მაინც არ აღნიშნავთ იმ ამბავს, რომ წესიერი ადამიანის ცხოვრების კულუარულ ნაწილს არავინ გადაიღებს, რადგან მის საქციელში პროვოკაციული, მიუღებელი და სამარცხვინო არაფერია! ხოლო თუ მამათმავლობა და ლესბოსელობა (რომელიც აღნიშნული ფირების **"ჰიტს"** წარმოადგენს) საძრახისი საქციელია, მაშინ რატომ ეწევიან მის აქტიურ პროპაგანდას ნაცები და რესპუბლიკელები?

**№3.** ფაქტია, რომ ერთი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი შედგება 800-900 ფაილისაგან, რომლის შექმნაზე მუშაობს ოცდაათამდე სპეციალისტი (ოპერატორი, მისი თანაშემწე, ხმის ოპერატორი, თანაშემწითურთ, მემონტაჟეები, მათი თანაშემწეები და სხვა). აღნიშნული ფილმის დამონტაჟებას სჭირდება ორ თვემდე ვადა. რატომ ერთხელ მაინც არ დასვამთ შეკითხვას, რომ შესწავლილი იქნას ის რესურსი, რომლის ბაზაზეც ნაციონალურმა მოძრაობამ შექმნა დაახლოებით 100.000 ფაილი, რომლის შექმნასაც საკმაოდ დიდი ინდუსტრიული ბაზა სჭირდება, თავისი სპეციალისტებითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსით. ხომ არ იქმნებოდა ყოველივე ეს ტელეარხ **"რუსთავი 2"-ს, "რეალ-ტივისა"** და ნაცების სხვა **"ჯიბის"** ტელევიზიების ბაზაზე, რომლთაც პასუხი უნდა აგონ ქართველი ერისა და საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი ამ და სხვა უამრავი არაადამიანური საქციელისათვის?

**№4.** რატომ ერთხელ მაინც არ გააჟღერეთ ის ეჭვი, რომ ნაცდამქაშები, თავის დროზე, გადაღებულ ფირებს რამდენიმე ეკზემპლარად აკოპირებდნენ, ახლა კი მას იყენებენ ფირებში ასახული **"მსხვერპლის"** დასაშანტაჟებლად და მათგან ფულების **"ასახევად"**. რა შუაშია, ამ შემთხვევაში დღევანდელი ხელისუფლება?

**№5.** და საერთოდ, ამ და უამრავ სხვა შეკითხვებზე უეჭველად გაცემული იქნებოდა ამომწურავი პასუხი, რომ **"ქართული ოცნების"** ხელისუფლებას ჩაეტარებინა სრულყოფილი გამოძიება და დაეპატიმრებინა კონკრეტული დამნაშავეები, მაგრამ როგორ შეეძლო ქმედითი ზომების მიღება ოცნების ხელისუფლებას, რომელიც ამერიკელთა მიერ შემოტენილი **"კოჰაბიტაციით"** იყო ხელებშეკრული? ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ხელისუფლებას კანონის შესაბამისად ემოქმედა, როგორ შეიძლება, რომ ახლა ციხეში არ ისხდნენ გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, მიშა მაჭავარიანი, გიორგი ბარამიძე, გოგა ონიანი სხვა მრავალი ნაცი და თუნდაც მათი მანიაკი **"ბელადი"** მიხეილ (გარეგინ) სააკიანცი, რომელსაც სწორედაც რომ ნაცების მიერ მირთმეულ მსუყე ქრთამებს დახარბებულმა ევრო-ამერიკელებმა მისცეს ქვეყნიდან გაქცევის საშუალება?

ხედავთ, **ასო**-ებო, რამდენ შეკითხვაზე გაქვთ პასუხი გასაცემი, თქვენ კი აქეთ გვთხოვთ პასუხს? ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ და ევრო-ამერიკელების მიერ, **"გასამანქურთებელი"** აქლემის საშო არ გვქონდეს წამოცმული თავზე, მაშინ თქვენც თქვენი ადგილი გექნებოდათ სარდაფის კუთხეში, მაგრამ ახლა, სწორედ ევრო-ამერიკელების ფულებით გათავხედებულები აქეთ გვემართლებით და თქვენს მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულზე გინდათ გვაგებინოთ პასუხი!

**"მაგ სიმართლიათ"** რომ დადიოდნენ ეთნიკურად არაქართველი მიხეილ (გარეგინ) სააკიანცი და მისი ნაცდაშნაკები, იმიტომაც აუგო ქართველმა ხალხმა წესი და პოლიტიკური სამარისაკენ გაუკვალა გზა. მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე მაინც ვერ მივიყვანეთ საქმე, რადგან ჯერ კიდევ ბოგინობენ საქართველოში სრულიად უსარგებლო **"რუდიმენტულ"** დანამატად ქცეული თქვენნაირი **ასო**-ები, რომლებიც ძალას არ იშურებენ სააკიანცისა და მისი **"ნაცდაშნაკების"** დანაშაულებრივი რეჟიმის რეანიმირებისათვის.

დარწმუნებით გეუბნებით, რომ არაფერი გამოგივათ, რადგან ადმინისტრაციულ საყრდენგამოცლილი და დიდი ფულადი სახსრების გარეშე დარჩენილი ნაცები გრძნობენ თავიანთ უმწეობას და ახლა ერთმანეთს უღრენენ ვოლიერიდან გამოყრილი ძაღლებივით. ეგენი ხომ იმ დაშნაკი სომხების შთამომავლები არიან, ფულის გულისთვის მამა შვილს რომ არ ინდობს და შვილი – მამას!

ასე რომ, წასულია თქვენი საქმე, ნაციონალთა ვარცლს მიმსხდარო არარაობებო, **ასო**-ები რომ დაირქვით და ჯერ კიდევ ბოგინობთ ჩვენს მიწაზე! სწორედ თქვენნაირი **"მეხუთე კოლონის"** საბოლოოდ განეიტრალება იქნება ქართველი ხალხის ამოცანა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, რათა საქართველოს მიწაზე, ავადსახსენებელი **"ნაციონალების"** ბაზაზე აღარასოდეს აღორძინდეს ნეოფაშიზმი!

**როლანდ ჯალაღანია,**
**გაზეთ "ილორის" მთავარი რედაქტორი**

## "აფხაზეთიდან სასიკვდილოდ განწირული 80 ჩვილი გადმოიყვანეს"

ქართულ მასმედიაში გამოქვეყნდა ინტერვიუ ცნობილ და წარმატებულ ნეიროქირურგ კობა გელაშვილთან, რომელიც ერთ-ერთი იმათგანია, ვინც თითო და აუცილებელ აგურს დებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მშენებლობაში.

რამდენიმე წელია, რაც ბატონი კობა სოხუმის მოსახლეობას სამედიცინო დახმარებას უწევს, ურთულეს ოპერაციებს უკეთებს და თან, სრულიად უანგაროდ.

გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუდან:

**კობა გელაშვილი:** – როდესაც გადაწყდა, რომ კონფლიქტის ზონაში უნდა წავსულიყავით, ჩვენი საავადმყოფოს დირექტორმა იკითხა, უსაფრთხოება რამდენად იქნებოდა უზრუნველყოფილი. ქართველმა ძალოვანებმა უთხრეს: თუ იქ ექიმები გადავლენ, ერთი პროცენტიც არ არსებობს, რომ ვინმემ მათ რაიმე ზედმეტი უთხრას. პრეზიდენტს შეშურდება, ისეთ ყურადღებას მიაქცევენო...

ჩემი უახლოესი მეგობარია ოთარ მარშავა, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იყო აფხაზეთში წასასვლელად. ის იქ ძალიან უყვართ. რომ ჩავდიოდით, ხალხი სპეციალურად გამოდიოდა ქუჩაში, ქართულწარწერიანი ჩვენი მანქანა რომ დაენახა... ცოტა ხნის წინ, დეიდაშვილი გარდამეცვალა. მისი დაკრძალვის დღეს დამირეკეს, – სასწრაფო ოპერაციაა გასაკეთებელიო. დეიდაშვილი დავკრძალეთ თუ არა, მაშინვე წავედი აფხაზეთში. იქ რომ გაიგეს, გასვენებიდან პირდაპირ მათთან მივედი, ძალიან დიდი პატივით მიმიღეს. მერე რესტორანში წავედით და იქაც ხალხმა რომ გაიგო, ქუთაისიდან ჩასული ექიმები ვიყავით, ყველას უნდოდა, რაღაც ფორმით, ჩვენ მიმართ პატივისცემა გამოეხატა. სხვათა შორის, პირად საუბრებში ხშირად ამბობენ: ყველაზე მეტად, ქართველები გვაკლიაო. საოცარი ნდობა აქვთ ქართველი ექიმების მიმართ.

– რამდენად ხშირია მომართვიანობა?

– მომართვიანობა საკმაოდ დიდია და ქართული მხარეც ზრუნავს მათი ჯანმრთელობის დაზღვევაზე. თითქმის უსასყიდლოდ ვემსახურებით. ერთხელ აფხაზეთიდან სასიკვდილოდ განწირული 80 ჩვილი გადმოიყვანეს და ოთხმოცივე სრულიად გამოჯანმრთელებული დავაბრუნეთ უკან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღირსეული ქართველის იუბილე!



**ღირსეული მასწავლებლის ღირსეული მოწაფე – აკადემიკოსი სიმონ ხეჩინაშვილი და მეცნიერ-მუშაკი ზურაბ ქევანიშვილი – 1985 წელი**

გასულ კვირას ჩემმა მეგობარმა როლანდ ჯალაღანიამ დამირეკა და გამაფრთხილა – 15 მარტს არაფერი დაგეგმო, კარგი ამბავი უნდა შეგატყობინო, ნამდვილად გაგიხარდება, ისეთ კაცს შეგახვედრებო!

ბოლო დროს საქართველოში მიმდინარე სულიერი და ხორციელი გახრწნილობის ზეობის ჟამს, რაიმე გასახარელს თუ გავიგებდი, ნამდვილად არ მეგონა.

15 მარტიც გათენდა. ისევ შემომეხმიანა როლანდი და შემახსენა – გასულ კვირას ხომ გაგაფრთხილე, დღეს აკადემიკოს ზურაბ ქევანიშვილის 75 წლის იუბილეს ვიხდით გორკის კლუბში და კლასელებთან და მეგობრებთან ერთად მიწვეული ხარო!

არ დავმალავ – უზომოდ გამიხარდა!

როლანდისაგან გამიგია, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში ზურაბ ქევანიშვილი გასაოცარი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა და ყოველგვარი პროტექციის გარეშე წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში და ჩაირიცხა, რაც იმ დროისათვის (1958 წელი) თითქმის წარმოუდგენელი იყო, რადგან სამედიცინო ინსტიტუტში ჩასარიცხი აბითურიენტების სია საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნის კაბინეტში მტკიცდებოდა, რაც კატეგორიულად გამორიცხავდა ყოველგვარ მოულოდნელობას.

სწორედ ზურაბ ქევანიშვილი გახლდათ ეს **"მოულოდნელობა"**, რამაც დაანგრია ექიმად გახდომის მაღალ კაბინეტებში დამკვიდრებული შერჩევის სტერეოტიპი...

**–წარმოვიდგინე, უიშვიათესი შემთხვევა, როცა იუბილარის მისამართით ნათქვამი არც ერთი საქებარი სიტყვა მოგონილი და ნაყალბევი არ იქნება (როგორც დღევანდელ, ქართულ სინამდვილეშია მიღებული). პირიქით, ყველაფერი ვერ ითქმება, რაც იუბილარს 75 წლის მანძილზე შეუქმნია და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა მოიცავს, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ!**

სამწუხაროდ, სოციალურ ქსელში, მწირი ინფორმაციის გარდა, არაფერი დევს ბატონი ზურაბის განვლილი სამეცნიერო ცხოვრების შესახებ. ესეც მისი ცხოვრების სტილია – **არავინ შეაწუხოს, არავის ზედმეტად თვალში არ მოხვდეს. მისთვის საქმე და სამეცნიერო მიღწევებია მთავარი, რომელიც ყოველი ახალი აღმოჩენის შემდეგ ქვეყნის და კაცობრიობის საკუთრება ხდება.**

მე მაინც არ მოვეშვი ინტერნეტში კირკიტს და აღმოვაჩინე იმ გერმანული კლინიკების ჩამონათვალი, რომლებიც ბატონი ზურაბის პირადი დამსახურებით გახდნენ აკადემიკოსების – შოთა ჯაფარიძის და ზურაბ ქევანიშვილის მიერ 2010 წელს დაარსებული **ოტორინოლარინგოლოგიის ეროვნული ცენტრის** პარტნიორები:

**– მაგდებურგის ოტო ფონ გიორიკეს სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა;**

**– ჰალბერშტადტის წმინდა სალვატორის სახელობის ოტორინოლარინგოლოგიის საუნივერსიტეტო კლინიკა;**

**– დრეზდენის კარლ გუსტავ კარუსის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკა;**

**– მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკა;**

**– კიოლნის უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკა;**

**– დეფენტერის უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკა.**

იშვიათი შემთხვევაა, როცა ქართველ მეცნიერს იუბილეს უცხოეთში, მსოფლიოში აღიარებული უნივერსიტეტი უხდის – ეს საამაყო შემთხვევა მადებურგში **ოტო ფონ გიორიკეს უნივერსიტეტში** მოხდა 15 წლის წინ, სადაც ბატონ ზურაბ ქევანიშვილს 60 წლის იუბილე გადაუხადეს. ხოლო **დრეზდენის კარლ გუსტავ კარუსის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის ოტორინოლარინგოლოგიის კლინიკამ** ბატონი ზურაბის 65 წლის იუბილეს საგანგებო სამეცნიერო კონფერენცია მიუძღვნა. გარკვეულწილად საქართველოს მასშტაბით რეკორდია, რომ ბატონ ზურაბ ქევანიშვილს 400 ნაშრომიდან 170 ინგლისურ და 33 გერმანულ ენებზე არის შესრულებული. საერთაშორისო პრესაში გამოქვეყნებული ინგლისურენოვანი ნაშრომებისთვის დაჯილდოებულია სოროსის პრემიით.

არის სამი მონოგრაფიის თანაავტორი, რომელთაგან ერთს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თარხნიშვილის, მეორეს ბერიტაშვილის, მესამეს კი საქართველოს სახელმწიფო პრემია აქვს მინიჭებული.

აკადემიკოს ზურაბ ქევანიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობა დიდი და საინტერესო თემაა, რომელიც ცალკე განხილვის საგანია და მას საფუძვლიანად მომავალში მივუბრუნდებით. ამ საგაზეთო სტატიას კი 20 წლის წინანდელი **მაგდებურგის დღიურებიდან** ამოღებული ნოველათი დავასრულებ, ბატონ ზურაბს, კი ჯანმრთელობას და სამეცნიერო-შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ!

## ყურთასმენააღდგენილი ბებია და ოთხჯერ გადასწორებული ანდერძი!

1978 წლიდან მოყოლებული 1991 წლამდე წელი არ გამიცდენია ევროპაში, ძირითადად გერმანულენოვან ქვეყნებში არ მემოგზაურა ქართველ ტურისტებთან ერთად.

1991-92-93 წლებში, პირველი წელი ჩემი პრეფექტად ყოფნის, მეორე და მესამე წელი კი ევროპაში მოგზაურობების ნაცვლად საკუთარ ოჯახს მოწყვეტილმა აფხაზეთში, ძმათამკვლელ ომში გავატარე.

–კოჩარას, ქეთევანას, კინდღის, ლაბრას, ტამიშის (გაგრაში დატრიალებული ქართველთა გენოციდის დღეებში მე იქ არ ვყოფილვარ) ტრაგედიების, სოხუმის დაცემის, ასიათასობით საკუთარი სახლ-კარიდან აყრილი, სიკვდილის უღელტეხილს გაყენებული და ენგურს გამოღმა გადმორეკილი უსახლკაროს, ძმათამკვლელი ომის დედაქალაქში ტაშ-ფანდურით დამთავრების და ქართველ გენერალთა პომპეზური დაჯილდოებების შემდეგ, ცხადი იყო, მე და ჩემისთანებს საქართველოში არ დაგვედგომებოდა და დროებით გერმანიაში წასვლა გადავწყვიტე.

ხანმოკლე ფიქრის შემდეგ, ყოფილი **გედეერი** ავირჩიე. ვიფიქრე – აზროვნებით და მენტალიტეტით უფრო ვგავართ და უკეთ გავუგებთ-მეთქი ერთმანეთს, თუმცა ჩემი ვარაუდი არ გამართლდა!

მაგრამ ეს არ არის მთავარი ამ კონკრეტულ შემთხვევაში!

მოკლედ, მაგდებურგში დავიდე ბინა, ედუარდ უხსნებელის მიერ მოყვანილი კაციჭამიების მიერ დაპყრობილი საქართველოდან თავდაღწეულმა.

ჩემი მასპინძელი, პეტერ ვილჰელმ შმიდტი, ერთი მართალი და პატიოსანი, **„ნასწავლი ყასაბი" (Gelernte Metzger)** იყო, რომელსაც, სხვებისგან განსხვავებით, არასდროს მორიდებია თავისი წარსულის მოგონებას, როგორც გერმანიის გაერთიანების შემდეგ მამა-პაპათა ქონების დაბრუნებით მოულოდნელად გამდიდრებულ გერმანელებს სჩვევიათ ხოლმე.

ჩვენ შემთხვევით არ გაგვიცვნია ერთმანეთი. ინტურისტში გიდად მუშაობისას თბილისში გაცნობილმა მაგდებურგელებმა იენს ტეტცლაფმა და ჰანს ბაიერლინგმა გამაცნეს იგი – კარგი და მართალი კაცია, ძალიან აინტერესებს და პატივს სცემს ყოფილ საბჭოთა ხალხს და იქნებ ურთიერთობა აგეწყოთო!

გაამართლა ჩემი გერმანელი მეგობრების რჩევამ და თითქმის ხუთი წელი დავყავი მაგდებურგში ჯერ ბრაიტერვეგზე, შემდეგ კი კაშტანიენშტრასსეზე. უამრავი საშური საქმე გაკეთდა იმ წლებში უმწეოდ დარჩენილი აფხაზეთიდან გადმორეკილი მოსახლეობისთვის...

ვილისთან ურთიერთობა მალე ოჯახებით დაახლოებაში გადაიზარდა. არაერთხელ ჩამოსულა თბილისში. რამდენიმე საქმე წარმატებითაც განხორციელდა. მაგრამ ერთი შემთხვევა საგანგებოდ დამამახსოვრდა, რაც ჩემს დაგეგმილ წიგნს ნამდვილად ვერ აცდება.

ერთხელ, მაგდებურგის საემიგრაციო ოფისში (Ausländeramt) ყოფნისას ერთმანეთთან რუსულად მოკამათე ახალგაზრდა წყვილი – *ქალ-ვაჟი* (ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ მაშინ ჯერ კიდევ უცხო იყო ევროპისთვის *ვაჟ-ვაჟი* და *ქალ-ქალი*) შევნიშნე და მაშინვე მივხვდი, ვაჟი ქართველი უნდა ყოფილიყო!

არ დავახანე და გამარჯობა-მეთქი რომ ვუთხარი, კინაღამ გადაირია სიხარულით ჩემი ოდაბადეს მკვიდრი, სოხუმელი გია კვარაცხელია, მეუღლეს, შტეფი ბახს რომ ეკამათებოდა, – **ხელის მოწერა და ქორწილი პარასკევს არ შეიძლება, იგი შაბათ დღეს უნდა ჩატარდეს აუცილებლად ქართული წესით, რადგან ჩვენ ქართულ ოჯახს ვქმნითო!**

ჩვენი გაცნობისთანავე გადაწყდა ეს საკითხი, რასაც ქორწინების გაფორმება სამოქალაქო რეესტრში (Standesamt) და მისი ჯეროვანი აღნიშვნა მოჰყვა. როგორც იმ დროს, ევროპაში გასულ ქართველებს სჩვეოდათ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გასვრილი ქართული ემიგრაცია უკადრებელი საქციელით!), ყველა ქართველი ჩამომითვალა გიამ მაგდებურგში და მის სიახლოვეს, თუ ვინმეს იცნობდა.

მათ შორის საგანგებოდ გამოჰყო მაგდებურგში მოღვაწე ცნობილი ექიმი, პროფესორი ზურაბ ქევანიშვილი და მაგდებურგელების სიძე თენგო ფაშალიშვილი. იქვე შევთანხმდით და კვირის ბოლოსთვის შემდეგი შეხვედრა ჩემს ოფისში, მაგდებურგის ცენტრში, ბრაიტერვეგზე დავგეგმეთ.

მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე სამსახურში მისულმა ჩემს მეგობარს და მასპინძელ ვილი შმიდტს ვახარე, – **მაგდებურგში პირველი ქართველი გავიცანი, რომელიც სხვა ქართველებსაც იცნობს, მათ შორის მაგდებურგის უნიკლინიკის პროფესორ ზურაბ ქევანიშვილს-მეთქი!**

ვილიმ ყურადღებით მომისმინა. შევატყვე, გაუხარდა და თავის ოთახში შევიდა. მაგრამ მალევე მობრუნდა და მეკითხება – დავით, კიდევ ერთხელ გამიმეორე, რა ჰქვია იმ ქართველ პროფესორს?

– ზურაბ ქევანიშვილი-მეთქი, რომ ვუთხარი, მყისვე მიაყოლა – აუდიოლოგი ხომ?

მე ამდენი არ ვიცოდი, მაგრამ დავუდასტურე, დიახ-მეთქი!

აღტაცებულმა მითხრა – **ვიცნობ მე მას, იგი ჩვენი ოჯახის, უფრო სწორად ბებიის მკურნალია** და საინტერესო ისტორია მომიყვა:

– გერმანიის გაერთიანების შემდეგ, მოსახლეობის იმ ნაწილს, ვისაც წინაპართა ქონება ჩამოართვეს კომუნისტებმა, ახლა ისევ დაუბრუნეს, მათ შორის მეც და ჩემი ოჯახის წევრებსაც. მაგრამ ქონების დიდი ნაწილი მამაჩემის დედის საკუთრებაში რჩებოდა და მას სათუთად ვუვლიდით დარჩენილი მემკვიდრეები. ბებია დიდად განათლებული ქალი იყო, ზედმეტს ვერაფერს შევბედავდით.

ერთ მშვენიერ დღეს ბებიამ მოულოდნელად სმენა დაკარგა. ყველა დაგვამწუხრა ამ ამბავმა. მაგრამ ცოტა ხანში იგი მოულოდნელ მხიარულებაში გადაიზარდა – ვიცოდით რა, ბებიას არაფერი ესმოდა, მისი თანდასწრებით ხმამაღლა ვიყოფდით მის ქონებას და მალე ანდერძიც (Testament) დავაწერინეთ, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ გვაწყობდა.

ალალად უნდა ვთქვა, კეთილი ბებიას სმენის დაკარგვა მაინც არ გვასვენებდა და გამოსავალს ვეძებდით. აქაც გაგვიმართლა: მეზობელს წაეკითხა გაზეთში მაგდებურგში მოღვაწე ქართველი პროფესორი-აუდიოლოგის საოცარი მიღწევების შესახებ და ბებიაც მას მივუყვანეთ გამოსაკვლევად.

ასე გავიცანით პროფესორი-აუდიოლოგი ბატონი ზურაბ ქევანიშვილი.

მოკლევადიანი სტაციონარული მკურნალობის შემდეგ ბებია სახლში გამოგვატანეს და გვითხრეს, შედეგს უნდა დაელოდოთო. ჩვენც არაფერი გვადარდებდა, ველოდით ბებიის გამოჯანმრთელებას და დარწმუნებულნი, მას ჩვენი საუბარი არ ესმოდა, არაფერს ვმალავდით და ჩვენს გემოზე ხმამაღლა ვიყოფდით წინაპრების ქონებას.

გავიდა რამდენიმე დღე და ბებიამ ანდერძის გადახედვა მოითხოვა. აქ აირია ყველაფერი!

ორ კვირაში ოთხჯერ შეასწორა ანდერძი ბებიამ. მოულოდნელობით გაოგნებულები ვერაფერს ვხვდებოდით, სანამ ბატონ პროფესორ ქევანიშვილს არ მივუყვანეთ მორიგ გასინჯვა-კონსულტაციაზე და არ გვახარა – **თქვენი ბებია ქალბატონი ფრანცისკა შმიდტი სრულიად გამოჯანმრთელდა და გილოცავთო!**

– მაშინღა მივხვდით, რატომ შეასწორა **სმენადაკარგულმა** ბებიამ ჩვენს გემოზე დაწერილი ანდერძი ოთხჯერ!

**დავით ქობალია**
**ევროპის, ხალხთა გამაერთიანებელი, ჰუმანიტარული ორდენის Cordon Bleu du Saint Esprit-ის საპატიო წევრი მაგდებურგის დღიურები 1994-98 წლები**

**P.S.** დიდი ხანია, თურმე, ვილი შმიდტის ცხონებული ბებიის **სმენის და ოთხჯერ გადაწერილი ანდერძის** სახალისო ისტორია გერმანიაში ანეკდოტად დადის. ამას წინათ, ცნობილმა გერმანელმა პროფესორმა და დოქტორმა 18 წლის წინ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, **გერმანულენოვანი მრეწველობის და სამართლის ფაკულტეტის** დამაარსებელმა რუდიგერ ფონ არნიმ-ანდრესენმა მომიყვა იგი.

ბატონმა რუდიგერმა შენიშნა, რომ გაოცებული ვისმენდი მის მონაყოლს. მიზეზი იქვე ავუხსენი – **ის, ექიმი-პროფესორი, გერმანელ ბებიას რომ სმენა აღუდგინა და სმენადაბრუნებულმა შვილიშვილებს ოთხჯერ რომ გადააწერინა ანდერძი, დღეს აკადემიკოსია და ზურაბ ქევანიშვილია მისი სახელი და გვარი. წლების განმავლობაში ის გერმანიაში მოღვაწეობდა.**

ბატონ რუდიგერს შევპირდი – აკადემიკოს ქევანიშვილს შეგახვედრებ და გაგაცნობ, ვისზედაც, ეს შემთხვევა, მადლიერმა გერმანელმა ხალხმა ანეკდოტად აქცია-მეთქი.

–ეს შეხვედრა-გაცნობაც მალე შედგება!

# მოგზაურობა კავკასიაში

## სვატოპლუკ ჩეხი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

აქაურობას არ აკლია არც ხუროთმოძღვრული სამშვენისები,ისინი მრავალფეროვნებას ჰმატებენ ლიტონ ბუნებას, ოღონდ, ეს არც შვეიცარული სახლებია და არც ჩინური პავილიონები, ესაა სრულიად დამოუკიდებელი ქმნილებები, რომელზეც ევროპულ შემოქმედებას წარმოდგენაც კი არა აქვს.

ტყის სიღრმეში თვლემს დაქცეული მცირე ეკლესია. ჩაშავებულ კედლებზე მწვანედ ხასხასებს გარეული ვაზი, სურო და სვია, აქვე იზრდება აკაცია და ლეღვი, ტოტები ჭერსა და სარკმელში აქვთ გაშვერილი. მხედრულის ლამაზი ხელით დამშვენებულ ძველისძველ საფლავის ქვებზე სრიალებენ ისარივით მარდი და ლითონივით მოელვარე ხვლიკები.

სხვაგან გვანცვიფრებს მწვერვალზე გადმომდგარი ჩუქურთმიანი დაბალი კოშკი, ხეების კენწეროები ასცდენია მის კედლებს და ალბათ, რამდენიმე წლის შემდეგ მთლიანად დაფარავს ქართული რომანტიკის ამ მივიწყებულ საგანძურს.

ტევრში აქა-იქ ვხვდებით რიყის ქვების გროვას,რომლებსაც გულგრილად ვუვლით გვერდს. უცებ,თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, ჩვენს წინ ადამიანი აღიმართა,ფეხშიშველა ქალიშვილი. განიერი,ჭრელი საწმერთული აცვია, თეთრი ჩადრი შემოუხვევია, თავზე დიდი კოკა შემოუდგამს. შემდეგ ყურადღებით აკვირდები ამ რიყის ქვებს და რწმუნდები,რომ საკმაოდ ღატაკი ქართული სოფელი ყოფილა. ხედავ რაღაც ჭრილს, სარკმლის მინაგვარს, აქა-იქ ფიჩხის კონაც ჩანს,თვალს მოჰკრავ ორყურა ქოთანს,ბუჩქებზე გადაფენილა ჭრელი ძონძები. ამ სოფლის დანახვაზე გეჩვენება,რომ აქაურები დედაზარდლებივით პირდაპირ გამოქვაბულებში ცხოვრობენ.

შეიძლება დატკბე საძოვარზე გამოსული ჯეირნების ხილვით, ზოგჯერ შეგაკრთობს ადამიანის ხმა და ტყიდან ახოზე ისკუპებს ნაბდიანი კაცი, ხანჯლითა და გრძელი თოფით. რევოლვერის მომარჯვებას ვერ მოასწრებ, გამყოლი დაგვაშოშმინებს – ეს მაჯლაჯუნა ჩვენი მფარველი ანგელოზია, მთავრობამ დაუყენა დარაჯად აქაურობას, ამ უკაცრიელ გზაზე მოსიარულეთა დასაცავად.

ტყე, ნამდვილი ტყე! ზემოთ კენწეროებს თაღი შეუკრავთ და თაღებქვეშ გზა თითქოს ბუნებრივ მწვანე დერეფანს მიუყვება. ალაგ-ალაგ გზა ჩაუხერგია წაქცეულ მორებს. იძულებული ვართ ჩამოვქვეითდეთ და ისე გავატაროთ ცხენები. უნაგირს შერჩება ხვიარა მცენარეების ბღუჯა.

ტყის ვიწრო ბილიკს მწვერვალისაკენ მივყავართ. დაკიდულ დაღმართზე ცხენებს წინ მივუძღვებით და ყველგან, ხეების ხშირ ტოტებში ვხედავთ გაღმა აღმართულ ფრიალოს. არსად არ ჩანდა მოედანი, არც კლდოვანი ნაპირები, ყველაფერი ხასხასა მწვანით იყო დაფარული, მხოლოდ აქა-იქ თეთრად ან რუხად გაიელვებდა ხმელი როკები,თითქოს საუკუნო ნირვანაში ჩაძირულანო, მაგრამ არც ასე იყო საქმე, ერთ-ერთ ხეზე ორი გულია ამოჭრილი, ეს კი ყველგან და ყველასთვის გასაგებია – სიყვარულის მრავლისმეტყველი სიმბოლოა! ასკილი და აყვავებული ბუჩქნარი ფერადოვან ტევრს ქმნის, თვალს მოგტაცებს უჩვეულო ფორმისა და უნატიფესი ფერის უცხო ყვავილი. ზოგჯერ კაცს გაიძულებს ცხენიდან ჩამოხტე მოსაწყვეტად. გული მწყდება,ბოტანიკოსი რომ არა ვარ,სახელი მაინც მეცოდინებოდა მისი, მერე თავს ინუგეშებ, ალბათ, რაიმე გრძელი, ძნელად დასამახსოვრებელი და ამ ელვარე ფერებისათვის შეუფერებელი სახელი ერქმევა.

მართლაც, უსიერ მცენარეულობას წავაწყდით ამ ღრმა ხეობის ფსკერზე. აქ ბინდსა და ტენს საიმედო ბინა უპოვიათ მურყანის ჩრდილქვეშ, წყალმდინარეთა ფოთლები უჩვეულო სიდიდისაა და მწვანე ლითონის ვეება ხუფებივით ეფარებიან მდოვრე წყალს,სადაც გაჟივებულ ფუტურო კუნძებს ლოპრი მოსდებია. ჩვენი ფეხის ჩქამზე ორთავე ნაპირიდან წყალში დგაფადგუფით ხტებოდა წყლის კუ და ლამაზი, ლურჯი ნემსიყლაპიები დაფარფატებდნენ შეგუბებულ ჰაერში.

როცა მწვერვალს მივაღწიეთ, უკან მოვიხედეთ, მწვანე ფარასავით გვერტყა გარს აქოჩრილი მწვერვალები, ქედი სულ მაღლა და მაღლა იწევდა, ლაჟვარდოვან ცას ებჯინებოდა. ჩვენ გარშემორტყმული ვართ ამ მწვანექათიბიანი ცხოველებით, რომლებიც აქ ციურ განცხრომაში თვლემენ ისე, რომ ადამიანის ყოფნის ნიშანწყალიც არ აჩნიათ, მხოლოდ თვალსაწიერზე ტყის ზემოთ აილანძება კვამლის სვეტი და გვამცნობს,რომ ამ წარმტაც უდაბურებაში მარტონი არა ვართ.

ისევ ღრმა ხევში დავეშვით. ღამეც შემოგვეწია – მუხანათურად – ჩვეულებრივ იცის ხოლმე ამ ადგილებში და სწრაფად, როგორც თეატრში. ეს მწვანე კულისები ჩვენს იდუმალ,ღამეულ დეკორაციებად იქცა. დროდადრო იქაურობას ოქროსფრად აზარნიშებდა ჩამავალი მზე,აელვარდებოდა დაისი, მერე კი აღიმართებოდა რუხი, გაუვალი მასა და ისიც სწრაფად ქრებოდა.

ცივი ნიავი საფეთქლებზე გველამუნებოდა. ირგვლივ ღამეული იდუმალება სუფევდა. იდუმალების შეგრძნებას აორკეცებს უდაბურობა და უცხოობა.

მე ამხანაგს ვკითხე, მალე გავაღწევთ თავს მწვერვალების ამ ლაბირინთს-მეთქი? მგონი ერთი მწვერვალიღა დაგვრჩა – მომიგო მან. ავედით და ჩვენს წინ გამოჩნდა უფსკრული, გაღმა ჩამუქებული ქედი, ალალბედზე დავეშვით, ირგვლივ უკუნი სიბნელეა, ძლივძლივობით ვარჩევთ ხეებს.

ისღა დაგვრჩენია,აქაური სამთო ცხენების ალღოიანობასა და სიფრთხილეს მივენდოთ, არა და ზედ უფსკრულის პირად მიაბიჯებენ. მოულოდნელად დამათრობელი სურნელი შემოგვეფრქვია, ფერდობზე ანწლი ყვაოდა. სიბნელეშიც კი გავარჩიეთ ყვავილის თეთრი მტევნები. ორჯერ გამაოგნა კავკასიური ყვავილების მძაფრმა სურნელმა, ერთი აქ, ანწლიან ჭალაში და მეორეჯერ იმერეთში, გელათის მონასტრის ეზოში უზარმაზარი ცაცხვების ძირას, თეთრი ყვავილებით შეფიფქულ ხეს მილიონობით ფუტკარი დაბზუოდა.

მივემართებით, ღრმა სიჩუმეს მხოლოდ ჩვენი ცხენების ფლოქვების ხმა არღვევს. მე არასოდეს დამავიწყდება უსიერ ტყეში ღამით მგზავრობის ეს პოეზია.

აქაურობა ზედმიწევნით მოგაგონებდათ იმ ღამეულ სამყაროს, ლერმონტოვი რომ აღწერს **„მწირში“:** შორეული,მთებში ჩაკარგული აულიდან გამარჯვებით მომავალ რუს გენერალს საქართველოში მოჰყავს ტყვე ბიჭუნა. უკვე შეღერებული ყმაწვილი ღამით გარბის ძველთაძველი ქართული მონასტრიდან,მიემართება ყინულოვანი მთებისაკენ. ღრანტეებში ეკალბარდებმა და წვეტიანმა ქვებმა კიდურებიდან სისხლი ადინეს. მილიონი ჩამქრალი თვალით მისჩერებოდა ღამის წყვდიადი. უღრან ტყეში ჩაკარგული ბილიკი ხან ზემოთ აიყვანდა, ხანაც უფსკრულის სიღრმეებში ჩაჰკარგავდა, ბოლოს მთვარის შუქით დაფერილ ველზე გზა გადაუჭრა ავაზამ – უდაბურ მხარეთა მეუფემ. მამაცი ჭაბუკის მიერ ძლეული ავაზა მოასწრებს სხეული დაუფლითოს ლტოლვილს.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამბები ბოლოს შეეხო იმ საგანს, რაც ერთიანად გვაფორიაქებდა. ამხანაგი ყვებოდა ათასგვარ ამბავს,თათარი ავაზაკების შესახებ. კავკასიელ თათრებს მაინცდამაინც სახარბიელო სახელი არა აქვთ. ისინი სავსებით განსხვავდებიან ყირიმელი თანამოძმეებისაგან, რომლებიც გაცილებით დახვეწილნი და კეთილშობილნი არიან. იმასაც ამბობდნენ,კავკასიელი თათრების სოფლებზე მგზავრობა, თუ გამყოლი არ გახლავს,დღისითაც კი საშიშიაო. ჩვენს ამოსვლამდე რამდენიმე ხნით ადრე, მანგლისის ახლოს,დღისით,მზისით ტყისპირას იპოვნეს თავგახეთქილი, გაძარცული რუსი ოფიცერი. ამაზე ადრე, გერმანელი ექიმი ჩათახში მიემგზავრებოდა ათი წლის ვაჟიშვილთან ერთად,გამყოლიც ახლდა,თანაც თათარი. გზად თათრების ბრბო გადაეღობა და **„ნალის ბაჟი“** ითხოვეს – ლურსმანში მანეთი. მსახურმა გაბედა და სიტყვა შეუბრუნა არამკითხე მებაჟეებს. მას ხანჯალი აძგერეს და ძირს დაანარცხეს. ალბათ, ევროპელების სისხლიც დაიღვრებოდა, მაგრამ ბავშვი, რომელიც თათარი ძიძის გაზრდილი ყოფილიყო,მუხლებზე დაცემულა მძარცველების წინაშე და თათრულად შევედრებია, მამისთვის მაინც ეჩუქებინათ სიცოცხლე. გულაჩუყებულ თათრებს მამაშვილი გაუშვიათ, თუმცა გაუძარცვავთ. ამ ამბებს ვყვებოდით და ისე ვიცქირებოდით აქეთ-იქით, როგორც ბავშვები კოშმარული ზღაპრების მოსმენისას. როგორც იქნა ჩვენს თვალწინ მინდორი გადაიშალა. ალაგ-ალაგ კორომებიც დავლანდეთ.

ერთგან ხეების ქვეშ შევნიშნეთ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ხალხი. გაქვავებულებივით იდგნენ ერთ ადგილზე,თითქოს ჩვენ გველოდებიანო.

აქეთ-იქით ვაცეცებთ თვალებს, არსად ჭიატებს მარტოხელა მგზავრის გასამხნევებელი შუქი, მონასტრებში რომ ანთებენ ხოლმე ევროპელები. ფიქრის დრო აღარ იყო. სასწრაფო გადაწყვეტილება მივიღეთ. რევოლვერები მოვიმარჯვეთ და ცხენები გავაჭენეთ. მშვიდობით გადავრჩით, არც ერთი სიათა არ შერხეულა.

გზაზე მოშორებით ვიღაც მოეხეტებოდა, ჩემმა თანამგზავრმა ცხენი შეაჩერა და მიაძახა:

– თეთრწყარომდე შორი გზა ხომ არ გვექნება სავალი?

– არა, ცოტაღა დარჩა, – მიუგო დამტვრეული რუსულით.

– შენ რაღას უდგეხარ აქ?

– თხებს ვაძოვებ.

როგორც იყო,თეთრწყაროსაც მივატანეთ. ძაღლები გააფთრებული ყეფით შეგვხვდნენ. გავიარეთ დაბალი,ერთფეროვანი სახლების წყება. შემოგვხვდა სიმღერით მომავალი ჯარიკაცების ჯგუფი. ხალისით მიგვაცილეს ჩვენი თანამემამულის კაპელმაისტერ ჰ-ს სახლამდე. რასაკვირველია, მან დიდი სიხარულით მიგვიღო. სულ რამდენიმე კვირაა,რაც ჩამოსახლდა კავკასიაში შტირსკი ჰრადეციდან და ჯერ კიდევ კარგად ვერ შეჩვეულიყო თავისებურ რუსულ გარემოცვას. ის გახლდათ ტანადი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი. მზით გარუჯულ სახეზე აღტაცება ეხატა. ცხოვრობდა დაბალჭერიან სახლში, საგულდაგულოდ შეთეთრებული ოთხი კედელი შეადგენდა მთელ მის ავლადიდებას. ოთახში ტლანქად გარანდული ხის მაგიდა, ორი სკამი და რკინის საწოლი იდგა.

**თარგმანი ალ. კაკულიასი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

**ისღა დაგვრჩენია, აქაური სამთო ცხენების ალღოიანობასა და სიფრთხილეს მივენდოთ, არა და ზედ უფსკრულის პირად მიაბიჯებენ. მოულოდნელად დამათრობელი სურნელი შემოგვეფრქვია, ფერდობზე ანწლი ყვაოდა. სიბნელეშიც კი გავარჩიეთ ყვავილის თეთრი მტევნები. ორჯერ გამაოგნა კავკასიური ყვავილების მძაფრმა სურნელმა, ერთი აქ, ანწლიან ჭალაში და მეორეჯერ იმერეთში, გელათის მონასტრის ეზოში უზარმაზარი ცაცხვების ძირას, თეთრი ყვავილებით შეფიფქულ ხეს მილიონობით ფუტკარი დაბზუოდა.**

## პოეზიის კუთხე

*სათრეველა*

### ჯანდაბა დემაგოგებს!

*ტაო, ტაო, ჩემო ტაო, ქართლ-კახეთის*
*მკვიდრო დაო!*

„სამხრეთის საზღვარი“.
„ტაო“. გრ. აბაშიძე

ჭორმა ჭორიკანას ხელი დაუქნია:
–მოდი. თავად ნახე,თოფაძეს რა უქნია!
უთქვამს: „გავიხსენოთ კლარჯეთი და ტაო,
მხოლოდ რუსეთს რად თვლით ოკუპანტადაო?“

* * *

ენა ფიანდაზად რატომ გაუგიათ?
ტაოს შეხსენება განა აუგია?
დროა, გამოვფხიზლდეთ, ჩემო ძმავ და დაო!
ვისზე ნაკლებია კლარჯეთი და ტაო?

* * *

შენ კვლავ სიმართლე სთქვი ოღონდ, ჩვენო გოგი,
და ჯანდაბას იქით ყველა დემაგოგი!

*სათრეველა მავანთა*
*სექსუალურ აქტივობაზე*

### ვეტო!

გონზე მოდი, ნუღარ გძინავს,
ხალხო, ლაფში ვინც ჩაგძირა,
რად არ უჯენ ამას ძვირად?
ხან ბორიალს, ხან გორიალს
როცა გვიქებს გრიგოლია,
ნეტა, თავი ვინ ჰგონია?

* * *

საქვეყნოდ რატომ აჩიჩქნა,
ვის ყვარობს და ვინ დაჩინჩლა?

* * *

არც შენ არ ხარ ინკოგნიტო,
ამით ხარობს ყველა კინტო!
მხოლოდ ხარობს?
„Это ни то!“
სწამს,
კაცურ ზნეს დასდებ „ვეტოს“,
ფეხმსუბუქთა ჩასაკვნეტო,
მექალთანე პრეზიდენტო!

### მტკიცედ დეგ!

დედა-უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ ლადო პაპავას

– ნურც გაფრინდება, ნურც მოფრინდება! –
ერთი გაუწყრა, სხვა მოეფერა...
ისე თენდება და მობინდდება,
ვერ ვხვდებით, რა ჰქნას ჭრელმა პეპელამ?!
ამიტომ უნდა ბინძურ ავგეოსს
დედა-ტაძარი ჩასაყლაპავად;
– ფრთხილად!
სამსალა რომ ვერ გვაგემოს,
მტკიცედ დეგ, მტკიცედ, ლადო პაპავა!

**ალექსანდრე შენგელია,**

დედა-უნივერსიტეტის 1958 წლის
კურსდამთავრებული

# რას წარმოადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში, და რა იწვევს შეცდომებს სიტყვის ეტიმოლოგიის დადგენისას

კითხვაზე,– რას წარმოადგენს თანამედროვე ენა, სინამდვილეში? შეიძლება მრავალნაირი პასუხი გაიცეს.

ენათმეცნიერებაში (და საერთოდაც) მიღებული განსაზღვრებით, **„ენა არის ადამიანთა საურთიერთობო (საკომუნიკაციო) საშუალება“.** მაგრამ ცხოველებიც, ფრინველებიცა და სხვა სულიერი არსებანიც ამყარებენ ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთობას, მათ მიერ გაღებული ბგერების მეშვეობით: აფრთხილებენ ერთმანეთს მოსალოდნელი საშიშროებისას, თავისთან უხმობენ სხვებს, უჯავრდებიან ან ესიყვარულებიან და ა. შ. ამიტომაც, მათ ენას, **„ცხოველთა ენას“** უწოდებენ.

მაშასადამე, აღნიშნული განმარტება, რომ **„ენა არის საურთიერთობო საშუალება, მართებულია“**, მაგრამ იგი სრულად ვერ გამოხატავს ადამიანური ენის რაობას.

სრულად ვერ ასახავს ენის რაობას ჩვენმიერი ისეთი შედარებით ყოვლისმომცველი განმარტებებიც კი, როგორიცაა: **„ენა – ეს არის საგანთა სამყაროს თავისებური მოდელი“; „ენა არის ბუნებაში მოცემული ბგერების ადამიანისეული რეპროდუქცია“; „ენა არის საგანთა სამყაროს თავისებური უკუფენა, ანდა, ბგერწერითი უკუფენა“, „ენა – ეს არის ადამიანისეული ცოდნა საგანთა უნივერსალური სამყაროს შესახებ“** და ა. შ. არც ერთი მოცემული განმარტება სრულყოფილი არ არის, იმდენად, რამდენადაც ყოველი მათგანი მოითხოვს ცალკე დამატებით განმარტებებსაც (ეს გასაკვირი არ არის, თუ გავიხსენებთ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ ასეთ შეფასებას: არსებობს **„წინადადება“** სიტყვის 30-მდე განმარტება, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ ამოწურავს მის მნიშვნელობას“).

დაზუსტებას მოითხოვს შეფასებაც: **„თანამედროვე ენა“,** ვინაიდან თანამედროვე ენებს განეკუთვნება ამჟამინდელი ველური ადამიანების ენებიც და განვითარებული ენებიც, რომელთა შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. იგი უმთავრესად გამოიხატება შემდეგში:

ეს ყოველივე ნათელი მაგალითია იმისა, როგორ ცდილობენ ჩვენი მენტალობის შეცვლას გარე ძალები ჩვენივე ხელისუფლების ხელით, რაც ნაწილობრივ მოახერხეს კიდეც. ევროპული არჩევანი ხელისუფლებისთვის პანაცეად იქცა, რომელმაც ქვეყანაში ეროვნული იდეოლოგია ჩაანაცვლა, თუმცა ამ იდეოლოგიის არსებობის სურვილმა ჩაილურის წყალი დალია გამსახურდიას ხელისუფლების დამხობასთან ერთად. **"რომელია ჩემზე მეტად ევროპელი და დასავლური ფასეულობების მატარებელი?"** – კითხულობს ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერი და ხელს ნაცებისკენ იშვერს. ანუ პიროვნება, რომელიც ტელეეთერიდან ეროვნულ ღირებულებებზე გვესაუბრება ნაცებს ეჯიბრება ევროპელობაში, ხოლო მეორე ლიდერი – **"სამაჩაბლოს"** ამ გეოგრაფიული ტერმინით არ მოიხსენიებს, ოსებს ეწყინებათო – ბრძანებს. ასევე, უკრაინაში მიმდინარე პროცესების ინიციატივას რუსეთს მიაწერს და ქართველ საზოგადოებას ტვინს ურევს. მსგავსი დემაგოგია კი მხოლოდ დასავლეთის ინტერესებს ემსახურება და ქართველი საზოგადოება ასეთი ძალის არჩევით ქვეყნის სათავეში კიდევ ერთ იმედგაცრუებას მიიღებს, რადგან ეროვნული ღირებულებები და დასავლეთისკენ სწრაფვა ურთიერთგამომრიცხავია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ის ძალები, რომლებიც დღეს ხელისუფლებას სამართლიანობის არაღდგენაში ადანაშაულებენ და აქციებს მართავენ, თავად არიან დასავლეთის მონები და ისიც იციან, რომ დღეს ქვეყანაში კრიმინალებს მათი თაყვანისცემის ობიექტი, ასევე კრიმინალური დასავლეთი ლობირებს. ჭეშმარიტად ეროვნული ძალა რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით კი არ გამოვა ქვეტექსტით – მე უნდა მოვიდე ხელისუფლებაშიო, ევროკავშირისა და ამერიკის წინააღმდეგ მოაწყობდა აქციას.

ეროვნული იდეოლოგია არც ჯარშია, რასაც მოწმობს ქართველი საჯიშე ბიჭების უკრაინაში ბრძოლაც, რაც, ასევე, ევროპა-ამერიკის ინტერესებს ემსახურება ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ.

ბ-ნმა ბიძინამ ბრძანა: პატრიარქიც ადამიანია და შეცდომებისგან არ არის დაზღვეულიო, რითაც მწვანე შუქი აუნთო მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს. ამავე ლოგიკით ბ-ნი ბიძინა მოსვლის დღიდან შეცდომებს უშვებს. ეს არცაა გასაკვირი – ის პოლიტიკოსი არ გახლავთ. დამოკიდებულება ექსპრემიერისადმი უკვე მიზეზ-შედეგობრივია. მე ივანიშვილის კანდიდატისათვის ხმა არ მიმიცია და არც მომავალში მივცემ! მე არ ვარ მისი პინგვინი!

ივანიშვილის ლიბერალურმა პოლიტიკამ კრიმინალებისადმი ფაშისტური ტერაქტის ობიექტად აქცია საქართველო. ამ აქტის მსხვერპლი ბ-ნი იური ვაზაგაშვილი კი მთელ საქართველოს დააკლდა თავისი გმირული შემართებით.

ერთის მხრივ, ეკლესიები ამიშენოს, თანამემამულეებს ფინანსურად დაეხმაროს, ხოლო, მეორეს მხრივ, ეროვნება და მამის სახელი წამართვას, გაუკუღმართებული სექს-ურთიერთობა კანონიერ ჩარჩოებში მოაქციოს, მართლმადიდებელ ეკლესიას დარტყმა მიაყენოს, ქართული მიწები უცხოელებზე გამიყიდოს, ამერიკული საწვრთნელი ბაზები ამიშენოს და ქვეყანა რეალური საფრთხის ქვეშ დამიყენოს! – არ მწამს იმ ხელისუფლების, რომელიც თავისი მონური მორჩილებით ქართულ გენსა და სულს მომიკლავს, მორალსა და ზნეობას წამიბილწავს ევროპელობის სახელით! სად გადის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის?

ევროპა, ფაქტიურად, ქრისტიანული აღარ არის. ეკლესიებს მრევლი აღარ ჰყავთ და ტაძრები იყიდება. ევროპულ ღირებულებებზე აპელირება სიყალბეა, რომელიც ეპიდემიად იქცა ქართულ პოლიტიკაში. ადამიანის უფლებების დაცვას და სუფთა გარემოში ცხოვრებას ევროპიდან კარნახი რაში სჭირდება? ხელისუფლებას ინფორმაცია არ გააჩნია თუ ანალიტიკური განსჯის უნარი?

ევროპა მხარს უჭერს სიყალბეს და ფაშიზმს (უკრაინის მაგალითი) – ეს არის მისი ფასეულობა? იგი პროპაგანდისტულ ომს აწარმოებს რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის ჩართულობით მისი რესურსის მითვისების მიზნით. თუ **"ნატო"** შორეულ კოსოვოსა და ავღანეთში **"იცავს"** თავის ინტერესს, რუსეთს არა აქვს უფლება თავის საზღვრებთან დაიცვას თავისი ქვეყნის ინტერესი?

არის საშიშროება, რომ ამ **"დემოკრატიულმა"** ძალებმა მაიდანი ჩვენთანაც მოაწყონ, თუ ხელისუფლება მათი დირექტივების შესაბამისად არ იმოქმედებს. ცნობილია, რომ 1978წ. ტერორისტებმა იტალიის პრემიერ-მინისტრი ალდო მორო გაიტაცეს და მოკლეს, რადგან **ნატო**-ში გაწევრიანების წინააღმდეგი იყო. სად არის გამოსავალი? როგორ დავაღწიოთ თავი ამერიკა-ევროპის ფაშისტურ ძალებს? ჩვენი უბედურების სათავე ჩვენივე მენტალიტეტშია, წარსულის ანალიზის არქონასა და სხვისი გემოვნებით ხელისუფლების არჩევაში. მიზეზს პუტინში ვეძებთ, რადგან დავკნინდით, არ გავიზარდეთ.

გამოსავალი მიმდინარე პროცესების სწორ ანალიზშია და საზოგადოება ამერიკის ხელისბიჭების – ნაცების, ალასანიას და მსგავსი ძალების გავლენის ქვეშ არ უნდა მოექცეს. გავიხედოთ მეზობელი ქვეყნებისკენ და გავითვალისწინოთ, რომ ერთადერთი ქვეყანა ვართ კავკასიაში ევროპული **"ღირებულებების"** მსხვერპლი. უნდა შევებრძოლოთ სიყალბეს, სისულელეს და უსამართლობას, რომელიც ხელისუფლებისგან მოდის ჩვენივე ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ და გავანეიტრალოთ დასავლეთიდან მართული შეტევა ზნეობასა და მორალზე. საქართველოს ეროვნულმა ძალებმა უნდა დაიკავოთ ანტიდასავლური ნიშა პოლიტიკურ სივრცეში, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრივ ინტერესს გაატარებს ქვეყანაში და ხმამაღლა, ამაყად განაცხადებს: მე ქართველი ვარ და არა ევროპელი!

**იზა თამაზაშვილი**

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია გულისტკივილით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მოძრაობის დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერი**

**კარლო ხვიტია**

**უფალმა გაანათლოს ამ შესანიშნავი ადამიანის სული...**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიტყვები უძლებენ ათასწლეულებს – მისტიური ნოსირი

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

თუ ჩვენი მცირე ლექსიკონი ერთ ადამიანს მაინც აღუძრავს ინტერესს ქართული (კოლხური) სიტყვისადმი, მაშინ ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით. თუ ლექსიკონში რაიმე ლაფსუსი გაიპარა, რაც ადვილად შესაძლებელია, ამისთვის ნუ დაგვძრახავთ.

ჩემს მიერ გაშიფრული კოლხური სიტყვების ერთი ნაწილი სათაურით – **"კოლხიზმები ქართულსა და სხვა ენებში"**, დაიბეჭდა ჟურნალ **"აიას"** მე-7 ნომერში. ამ მიმართულებით გავაგრძელე მუშაობა და წინამდებარე ნომერში გთავაზობთ ბოლო წლების განმავლობაში მოძიებულ სიტყვების განმარტებას.

**ბორჯალი** – პაემნის ჟამი (საბა), უბორჯლა – პაემანი. მისცა, იბორჯლა – ბორჯალი მოახსენა; ასევე ქეგლ. ბორჯი 2. კუთხ (გურ. იმერ.) მორიგეობის დრო – ჯერი, რიგი, ვადა.

ეს სიტყვები გასაგები გახდება თუ გავიხსენებთ, რომ მეგრულად **"ბორჯი"** არის **"დრო"**. ასე რომ **"ბორჯალი"** შეიძლება ითარგმნოს, როგორც **"დროული"**, რაც ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის განმარტებას.

**გალობა** – ქეგლ. ძვ. რელიგიური მუსიკალური ნაწარმოების შესრულება (ხმით), საეკლესიო სიმღერის შესრულება. გალ-ობა და მეგრული გარა (ტირილი) როგორც ვხედავთ ფუძეები იდენტურია (რ-ს გადასვლა ლ-ში და პირიქით ჩვეულებრივი მოვლენაა). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგია სწორედ მეგრულ გარას (ტირილს) უკავშირდება, რადგანაც საეკლესიო გალობა სწორედ ტირილს მოგვაგონებს, ტირილთან ასოცირდება. გადატანითი მნიშვნელობით კი იგივე სიტყვა (გალობა) ვრცელდება ჩიტების ჭიკჭიკზე, სტვენაზე.

**გალოპი** – ეს სიტყვა ცხენის ოთხაღებით სვლას, ნავარდს ნიშნავს. რუსული галоп: ფრანგული **galop.** ინგლისური **gallop** და მისთ. ეს ცხენის სვლის ბოლო ალურია, როდესაც ცხენი თითქოს მოსწყდება მიწას და გავარდება დიდი სიჩქარით. ქართულ **"გავარდნას"** შეესაბამება მეგრული **"გოლაფა"**, სწორედ ამ სიტყვიდან **("გოლაფა")** გვესახება ევროპული **"გალოპის"** მიღება.

კოლხეთს ძველ დროში ლამაზი ცხენოსნების ქვეყანას უწოდებდნენ და არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ცხენის სვლის ერთ-ერთი ალურის სახელი ისევ კოლხეთთან იყოს დაკავშირებული.

**განვითარება** – ქეგლ. 1. ერთი მდგომარეობიდან მეორეში (უფრო მაღალში, სრულყოფილში გადასვლა).

ეს სიტყვა იშლება შემდგენაირად გან-ვით-არ-ება, რომელშიც ფუძე არის **"ვით"**-ი, მეგრულად ნიშნავს ათს. სწორედ ათი არის ერთეულებიდან ათეულებში, ე.ი. მარტივიდან უფრო მაღალში, სრულყოფილში გადასასვლელი რიცხვი. ეს ერთის მხრივ.

მეორეს მხრივ, მოვიყვანოთ ამონარიდს რევაზ ერისთავის სტატიიდან (ჟურნალი **"აია"** №8. 2000 წელი. გვ.7), სადაც ის აღნიშნავს: **"ნოეს კიდობანი ხომ ალეგორიული გამოხატვაა დედამიწაზე მომხდარი კატასტროფებისა და ახალი ორსქესიანი სასიცოცხლო ციკლის თავიდან დაწყებისა. იგი ასევე ალეგორიულად გამოხატავს სამყაროს საწყის "კვერცხს", რომელიც ეზოტერულ თეოსოფიაში აღინიშნება დიდი წრეხაზით "O" და მას მდედრობითი საწყისი "მუტ"-ი ეწოდება. ამ წრეხაზის დიამეტრი კი იგივე ფალოსის კულტია და მას მამრობითი საწყისი ჰქვია, იგი აღინიშნება "I".**

წრეწირის წინ გამოტანილი მისი დიამეტრი იძლევა რიცხვ 10-ს ქრისტიანულ რელიგიაში 10 წმინდა რიცხვია და სამყაროს უსასრულო გამრავლების სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს.

სწორედ ეს რიცხვი "ათი" (10) ანუ მეგრულად "ვითი" ძევს ფუძედ სიტყვაში გან-ვით-არ-ება, რომელიც არა მხოლოდ გამრავლების სიმბოლოა, არამედ სწორედ რომ განვითარებისაც.

იგივე ფუძისაა რუსული развитие, რომელიც რუსული აფიქსებითაა გაფორმებული და ასევე ლათინური **"Vita"**, რაც სიცოცხლეს ნიშნავს. მამრობითისა და მდედრობითის გაერთიანება წარმოადგენს სწორედ სიცოცხლის საფუძველს.

**განრინება** – ქეგლ. მოშორება, გაშორება და მეგრული განი (შე)-რინა (განზე, გვერდზე ყოფნა, არსებობა), რაც ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის შინაარს. მაგალითად, როდესაც ვამბობთ **"განმარინე"** ანუ განი (შე) – მარინე. ეს ნიშნავს განზე, გვერდზე მამყოფე.

**ართვილი** – "რა ღამის სიცივემ ცვარი შეათოვოს" (საბა) თირით რთვილი (თოვლით დაფარული), რაც ზუსტად შეესაბამება ამ სიტყვის საბასეულ განმარტებას.

**ითიფალური** – ჩვენ ამ სიტყვას ლექსიკონებში ვერ მივაკვლიეთ, მისი მნიშვნელობა ყველასათვის გასაგებია. ამ ტიპის ქანდაკებები (ითიფალური ქანდაკებები) გავრცელებული იყო (და ზოგიერთი ქვეყანაში ახლაც არის) მთელს მსოფლიოში და ამათ შორის განსაკუთრებით კავკასიასა და საქართველო-ში.

მოვიყვანოთ ამონარიდი მ. ერქომაიშვილის წიგნიდან "კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში" თბილისი, 2002, გვ. 71: "თუკი გავიხსენებთ სხეულის ნაწილების სიმბოლიკას, ვნახავთ, რომ ფალოსი, ისევე როგორც იარაღი, მამაკაცური ძლევამოსილების ნიშანია, მასში არის კონცენტრირებული ენერგია. გავიხსენოთ თუნდაც ისეთი ცნობილი ითიფალიკური სიმბოლოები, როგორიც ჰერმებია – ფალოსის ფორმის ქვის სვეტები, რომლებიდანაც ბერძნები ტერიტორიებს შემოსაზღვრავდნენ. ფალოსის ფორმას აძლევდნენ სასაზღვრო ქვებს ბაბილონელებიც. შედარებით უფრო გავრცელებული ვერსიით, ჰერმას ტიპის ითიფალიკური ფიგურები პირველ რიგში ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა". მნიშვნელობა არა აქვს ამ ქანდაკებებს დავარქმევთ ითიფალიკურს, თუ ითიფალურს, მთავარი ისაა, რომ ამ სიტყვის ფუძე არის "ითიფალი", რაც მეგრულად ნიშნავს იმით აღმოცენდი, აღორძინდი, აყვავდი და ასე შემდეგ.

აქ სიტყვები აღმოცენდი, აღორძინდი და სხვა ნაყოფიერების სიმბოლო-სინონიმებია, ასე რომ ეს ჩვენეული ეტიმოლოგია გამართლებულია როგორც ფორმით, ასევე შინაარსობრივადაც.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ითაფალიური ქანდაკებები მთელს მსოფლიოში გავრცელდა სწორედ კოლხეთიდან და არა საბერძნეთიდან, ბაბილონიდან თუ რომელიმე სხვა ქვეყნიდან, რადგანაც ამ სიტყვის ეტიმოლოგიას კოლხეთთან მივყევართ.

**კრინი** – ქეგლ. კრინით – ზმნის. მაღალი ხმით, მაღალ ხმაზე. 2. იგივეა, რაც კრინტი. ჩვენი აზრით, აქედანვეა მიღებული "კრიმანჭული" (გურულ სიმღერებში – თავისებურად მიმოქცეული მაღალი ხმა).

მეგრულად რკიაფა, რკია, რკილა ნიშნავს კივილს, ადრე საფიქრებელია, რომ ყოფილიყო "რკინი" როგორც ეს არის ზმნებში ფურინი, ტურინი, თხოზინი და მისთ. შემდეგ მოხდა თანხმოვანთა მონაცვლეობა, როგორც ეს ხდება საერთოდ. მაგალითად: მორკება-მოკლება, ვურკიტუანქ-ვუკირკიტებ და სხვა.

ივ.ჯავახიშვილი თავის წიგნში "ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" გვ. 279 განიხილავს რა სამი ხმის ტერმინებს, სვამს კითხვას: "მართლაც ვინ იტყვის თუ რატომ ეწოდება უმაღლესსა და უწვრილეს ხმას კრინი და რატომაა, რომ უმდაბლეს ხმას სახელად ბოხი ერქვა და ჰქვიან ეხლაც".

ჩვენი აზრით კითხვას, რომელიც აწუხებდა ბატონ ივ. ჯავახიშვილს ნაწილობრივ გავეცით პასუხი.

**კურიერი** – ფრანგული სიტყვაა, გამომდინარეობს ლათინური ცურრო-დან და ნიშნავს სირბილს (მივრბივარ).

მეგრულად გოქურუა ნიშნავს გაქცევას, გაქუსვლას. მეგრულად და ლათინურად ძირები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს გოქურ-უა და ცურრო, მაგრამ ქური არის ქართულად ქუსლი, საიდანაც სჩანს, რომ ლათინური ცურრო მიღებულია კოლხურისგან, ხოლო რაც შეეხება ქართულ გაქუსვლას, ის არის ტიპიური კალკი კოლხურისა.

**ცურრიცულუმ** – ნიშნავს შეჯიბრებას სირბილში, ხოლო **curriculum vitae** – ნიშნავს – ცხოვრების გზას, ბიოგრაფიას. თუ გავიხსენებთ, რომ სიტყვა გან-ვით-არების განხილვის დროს, მისი ფუძე ვით-ი როგორ დაუკავშირდა ვიტა-ს (სიცოცხლე-ცხოვრებას), შეიძლება დავასკვნათ, რომ ცნობილი ფრაზა (**curriculum vitae**) მთლიანად გამომდინარეობს კოლხური სიტყვების ფუძეებიდან.

**მაკორაბა** – იყო ცნობილ ქალაქ მექას ძველი სახელი, რომელიც მრავალი წარმართული ტომის ერთგვარ გზაჯვარედინს წარმოადგენდა. ამ ქალაქში დაიბადა შემდგომ მუჰამედი. აქ ხდებოდა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა თავმოყრა, ე.ი. ის იყო ხალხთა ერთგვარი შემგროვებელი (მაკორობალი) – რაც კოლხურად, სწორედ შემგროვებელს ნიშნავს. იმავე ფუძისაა სიტყვა მახორობა, რაც მოსახლეობას ნიშნავს და მაკორაბა სწორედ დიდი დასახლებული ადგილი იყო.

**მაჭარი** – ქეგლ. ახლად დაყენებული, დუღილდაუმთავრებელი ღვინო. ყველასათვის ცნობილია თუ რა გარჯა სჭირდება ვენახის მოვლას. გლეხი მთელი წლის განმავლობაში უვლის ვენახს და იმის მოლოდინშია თუ როდის მოესწრება, ეღირსება პირველი ღვინის (მაჭარის) დალევას. "მაჭარი" მეგრულად ნიშნავს "მეღირსე", "მომესწარი". მართლაც "მაჭარი" ასეთ ასოციაციას იწვევს და ასე გვესახება ამ სიტყვის ეტიმოლოგია.

**მენეჯერი** – მანაგერ. მმართველი, გამგე, დირექტორი, პატრონი. მფლობელი და მეგრული მინჯე-პატრონი. მანაგე-მართვა და მინჯობა – პატრონობა, "მინჯე" რომ ორგანული მეგრული სიტყვაა, ეს სჩანს მის შემდეგ ვარიაციებში: მინჯენს-პატრონობს, მამინჯაფალი – პატრონობის გამწევი, ომინჯებელი – საპატრონო, უმინჯური – უპატრონო და მისთ.

**მენცარი** – ქართულად ნიშნავს მეცნიერს. მე-ნ-ცარი ქართულად იქნება მეცა-ელი, ანუ პიროვნება რომელიც აკვირდება ცას, ვარსკვლავებს, იკვლევს მათ კანონზომიერებებს, თავისებურებებს: ერთი სიტყვით ასტრონომი, ასტროლოგი.

აი, რას სწერს მწერალი ვლადიმერ ალფენიძე (გაზეთი "ერი და საზოგადოება". თებერვალი. 1977წ. გვ.7): "ბერძნული და ლათინური მითების თანახმად, ასტრონომია და ასტროლოგია ასწავლა ეგვიპტელებს ღმერთ ჰელიოსის ძემ. აიეტის ძმამ აქციუსმა. იმ აქციუსმა, რომელმაც ეგვიპტეში დააარსა მამამისის – მზის ღმერთი ჰელიოსის სახელობის ქალაქი – ჰელიოპოლისი".

აქედან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ კოლხეთში ძლიერ უნდა განვითარებულიყო ეს მეცნიერებები და ეს განვითარება უნდა ასახულიყო კოლხურ მეტყველებაში, რომლის დამადასტურებელია მოყვანილი სიტყვა "მენცარი".

მეორეს მხრივ ამ სიტყვისავე (მენცარი) ძირისაა მეგრული სიტყვა "მეცუმა", რაც ნიშნავს წახდომას, გაფუჭებას (მეცუ ირფელქ) ყველაფერი წახდა, გაფუჭდა, მოიშალა, ანუ კაცობრიობის განვითარების გზაზე დადგა ისეთი მომენტი, როდესაც სულიერება შეცვალა გონიერებამ და ადამიანი უკვე ველარ ჭვრეტდა ჭეშმარიტებას, ღმერთს, გულისა და გრძნობის ადგილი დაიჭირა გონებამ და დაიწყო ადამიანის ინტელექტუალური განვითარება. სწორედ ამ პროცესს ასახავენ სიტყვები "მენცარი". "მენცარობა" (მეცნიერება) და შემდეგ უკვე სიტყვა "მეცუმა" (სხვათაშორის იგივე მნიშვნელობისაა სიტყვა "სწავლა" და შემდეგ კი "წავლა" – "წაულა" – გაფუჭება, წახდენა). საიდანაც ვხვდებით, რომ ერთის მხრივ ის ასახავს უძველეს წინამძღვრებს სულიერებისას (ასტროლოგია), რომელთა საშუალებითაც ხდებოდა წინასწარმეტყველება მიღებული მოქმედების შედეგებისა და ასევე ცალკეული პიროვნებისა მთელი ერების ბედიღბლის განსაზღვრა, ხოლო მეორეს მხრივ დადგომას ისეთი პერიოდისა, როდესაც "მეცუ ირფელქ" (წახდა ყველაფერი) და სულიერების ნაცვლად დადგა პერიოდი ინტელექტუალიზმისა და მატერიალიზმისა.

**მკურნალობა** – ამ სიტყვის (მ-კურნა-ლობა) ფუძეა "კურნ", რომელშიც შეიძლება დავინახოთ შემდეგი კოლხური ფრაზა "კუნ-რინა" (ისევ სიცოცხლე, არსებობა, ცხოვრება). ეს ფრაზა ზუსტად გამოხატავს მკურნალობის არსს, რაც მართლაც მდგომარეობს განახლებულ სიცოცხლეში, არსებობაში.

ჩვენი აზრით იმავე სიტყვასთანაა (მკურნალობა) დაკავშირებული ცნობილი ფრაზა: ჩურა ედიანა, რაც, "მედეას მკურნალობას" ნიშნავს. აქ ჩვენი აზრით მოცემული სიტყვა უკიდურესად გამარტივებულია და ასეა დამკვიდრებული მეცნიერებაში.

**მოაჯირი** – მეგრულად მენჯირა ნიშნავს მიწოლას, ხოლო მოაჯირი – მიაწექი. ე.ი. მოაჯირი არის მისაწოლი, ანუ ის, რასაც უნდა მიაწვე.

**მოგერიება** – ქეგლ. თავის დაცვა ვისიმე ან რისამე თავდასხმისგან. უპირველეს ყოვლისა ასეთი თავდასხმა მოსალოდნელია მტაცებელი ცხოველებისაგან და უპირველეს ყოვლისა მგლისაგან, რომელიც ყველაზე გავრცელებული მტაცებელია საქართველოში. თუ ამ სიტყვას გადავწერთ დაშლილი სახით მო-გერი-ება. ფუძე აღმოჩნდება "გერი", რაც მეგრულად მგელს ნიშნავს. როგორც ვხედავთ, თურმე მოგერიება უპირველეს ყოვლისა ასოცირდებოდა სწორედ მგლისგან თავის დაცვასთან, რაც ჩვენი აზრით გაცხადდა ამ ეტიმოლოგიით.

**ნატურა** (ლათ. ნატურა ბუნება) – ტურინი მეგრულად ნიშნავს გაფრენას, ხოლო ნატურინა – გაფრენილი, ფრენილი, ის, რაც გაქრა, და ა. შ. მართლაც ეს ბუნება, ეს სამყარო ფრენაშია, მუდმივად მიჰქრის და შპება.

**ნეფელე** – ბერძნულ მითოლოგიაში ღრუბელთა ქალღმერთი. ათამანტის პირველი ცოლი, ფრიქსეს და ჰელეს დედა. ასევე ბერძნულად ნიშნავს ღრუბელს. მეგრულად ღრუბელი მუნაფაა. ჩვენი აზრით მეგრულ ფორმას ბოლოში უნდა ჰქონდეს დაკარგული "ლა" პოსტფორმანტი ე.ი. უნდა ყოფილიყო მუ-ნაფალა, ანუ რაც ნიშნავს "რა აღმონაცენი". გადატანითი მნიშვნელობით "რა ანაორთქლი". მართლაც ღრუბელი დედამიწის ზედაპირიდან ანაორთქლი წყლით მიიღება. ახლა გასაგებია, რომ ნეფელე მიღებულია ნაფალასგან, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პრეფორმანტი მუ(რა) და ეს სიტყვა კოლხური წარმომავლობისაა, რადგანაც აზრობრივად აიხსნება მხოლოდ კოლხურით. ასე, რომ ბერძნული (პელასგური) ნეფელე და კოლხური მუნაფა ერთი და იგივე ძირისგან გამოდის. ამ სიტყვის ასეთნაირი ეტიმოლოგია კიდევ ერთხელ ადასტურებს პელასგურ-კოლხური სამყაროს ერთგვაროვნებას, იგივეობას და აქედან ჩანს აგრეთვე, თუ როგორ ხდება თანდათანობით. ენათა დაშორიშორება და დიფერენციაცია.

**ბსერვარე** (ობ-სერვა-რე) – ლათინურად ნიშნავს დაკვირვებას. ამ სიტყვაში **"ბ"** არის პრეფორმანტი. სიტყვა "სერვარე"-ს აქვს იგივე მნიშვნელობა. მაგალითად **"სერვარე დე ცაელო"** ციურ მოვლენებზე დაკვირვება. მეგრული "სერუა" ნიშნავს ღამის დადგომას და ზუსტად შეესატყვისება მოცემული სიტყვის ფუძეს **"სერვა"**. ეს ის დროა (სერუა), როდესაც ასტროლოგები, ასტორნომები იწყებდნენ ცაზე დაკვირვებას და წინასწარმეტყველებდნენ ადამიანთა მომავალ ბედს თუ უბრალოდ არკვევდნენ ციურ სხეულთა აღნაგობას და მათ განვითარებას. რადგანაც ეს ორი სიტყვა **"სერუა"** და **"სერვა"** იდენტურია, შეიძლება დავუშვათ მოსაზრება, რომ ლათინურში მან განიცადა ტრანსფორმაცია და მიიღო დაკვირვების მნიშვნელობა. ამავე ძირისაა სიტყვა ობსერვატორია, ანუ დაწესებულება, სადაც ხდება ასტრონომიული დაკვირვებანი.

**ოპერა** – ქეგლ. (იტალ. ოპერა ნაწარმოები, თხზულება. ლათ. ოპერა შრომა, ნაკეთობა) 1. თეატრში შესასრულებელი მუსიკალურ-ვოკალური დრამატული ნაწარმოები; 2. თეატრი, სადაც წარმოდგენა იმართება.

მეგრული **"ობირე"** "Песня; место для песни и танцев, (И, Кипшидзе грамматика менгрелского (Иверского) языка. стр 407) ოპერა სწორედ არის ადგილი, სადაც იმართება სიმღერები და ცეკვები.

ამ ჩვენს ვერსიას მხარს უმაგრებს ისიც, რომ "ობირე" დღესაც კოლხურში ნიშნავს სიმღერას (ან ადგილს, სადაც მღერიან და ცეკვავენ). ე.ი. საგანს, მოვლენას ჰქვია თავისი ნამდვილი სახელი და არა გადატანითი და ერთმანეთთან არც თუ ისე თავსებადი სახელები: შრომა, ნაკეთობა, ნაწარმოები და ა.შ.

**ნუგზარ კვაშილავა,**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# აფხაზების შემობრუნების და აფხაზეთის ერთიან სამართლებრივ-სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევის გზები

*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

*ამონარიდი ნაპო მესხიას წიგნიდან: „ვის როგორ სტკივა აფხაზეთი“*

დაპირისპირება და გაუცხოვება ძლიერ გაღრმავდა და, თუ გვიან არ არის, აფხაზეთის პრობლემების მოგვარება უნდა დავიწყოთ ეთნიკური აფხაზების შემობრუნებით! აფხაზეთის ერთიან ქართულ-აფხაზურ კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა შესაძლებელია მხოლოდ აფხაზი ხალხის ნდობის აღდგენით, მათი ნებითა და მათთან თანამშრომლობით! სხვა გზა არარეალურია! – სხვა გზა ჩახერგილია!

აფხაზებთან საუბრისას ძალზე მნიშვნელოვანია, ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობის ისტორიის ღრმა ცოდნა და სწორი აღქმა და არა ფსევდომეცნიერული მიდგომა, რომლითაც გვასაზრდოებდნენ ათეული წლების განმავლობაში. აფხაზეთშიც არიან წერა–კითხვის, ნამდვილი ისტორიის მცოდნე ხალხი. აქაც ჩინებულად იციან, რასაც გამოჩენილი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი, ჯერ კიდევ ქრისტეშობამდე, აღნიშნავდა: კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობდნენ აბაზგებიო; ხოლო მოგვიანებით, ფლავიუს არიანეს (ახ.წ.აღ. II ს.) ცნობით, ლაზების ზემოთ, დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაახლოებით მდინარე ბზიფის ხეობაში, პირველი საუკუნიდან სახლობდნენ ჯერ აფსილები, შემდეგ აბაზგებიო. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით კი აფსილ-აბაზგები (სერგი მაკალათიას მოსაზრებით – აფხაზები) კოლხების გვერდით ბინადრობდნენ.

ეს და ბევრი სხვა ისტორიული ფაქტებიც კარგად იციან აფხაზეთში, რომ ყოველივე ეს ხდებოდა გაცილებით ადრე, ვიდრე კავკასიაში გამოჩნდებოდნენ ქართები – ქართველების წინამორბედი ტომი, რომელთა კვალისთვის ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს მე-6 საუკუნემდე ვერსად მიუგნიათ. მსოფლიო ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეს მიხედვით, სიმწრის (წითელი) ზღვიდან შავ ზღვამდე სახლობდა მხოლოდ ოთხი ხალხი: სპარსები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. აფხაზებმა კარგად იციან, რომ ისინი სწორედ კოლხური სამყაროს – იბერიის ნაწილნი არიან და არა საქართველოსი, რადგან თვით ცნება **„ქართველი და საქართველო“** ბუნებაში ჯერაც არ არსებობდა; ისინი მოგვიანებით გახდნენ ძველ მეგრულ-ლაზურ (ზანურ) ენაზე მოსაუბრე იბერიის მკვიდრნი. ამიტომ არ იზიარებენ აფხაზები ფსევდომეცნიერულ და თავსმოხვეულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ისინი ე.წ. ქართველური მოდგმისანი არიან. მათ მყარად აქვთ გაცნობიერებული, რომ ადიღეური შტოს წარმომადგენენ. ქართველი ავტორები კი, დაწყებული პავლე ინგოროყვათი და დამთავრებული ჯემალ გამახარიათი, ქადაგებენ: აფხაზები ქართველები (მესხები!) იყვნენ – ქართული სამყაროს ნაწილი და პრეისტორიული დროიდან აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქიაო.

დავიწყებასაა მიცემული ის რეალური ფაქტიც, რომ რუსეთის შემადგენლობაში მოქცევამდე, საქართველო კარგა ხნით ადრე იყო სამეფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული. აფხაზეთი გარკვეული დროის განმავლობაში საერთოდ არ შედიოდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში, ამიტომ არ მიიჩნევენ აფხაზები საქართველოს თავის სამართალმემკვიდრედ. ეს მათ კარგად იციან, მაგრამ არ იციან, ან არ სურთ იცოდნენ, რომ აფხაზეთი იმ დროისთვის, როცა შედიოდნენ რუსეთის შემადგენლობაში, გაცილებით ნაკლები ტერიტორიით იყო წარმოდგენილი. ეს ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასეთ თავსმოხვეულ ფსევდომეცნიერულ მიდგომას აფხაზების წარმომავლობის საკითხისადმი და გაუთავებელ კინკლაობას მათი აბორიგენობის შესახებ, შეუძლებელია ნეგატიური როლი არ ეთამაშა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. აფხაზების, როგორც თვითმყოფადი ერის არაღიარებამ მეტად შეუწყო ხელი და განაპირობა გაუცხოების და უნდობლობის ტენდენციების ჩამოყალიბება-გარღმავებას. აფხაზებმა ნელ-ნელა დაიწყეს განდგომა. ეს კარგად ჩანს იმ ისტორიულ ფაქტიდანაც, რომ აფხაზები თავდაპირველად, ჯერ კიდევ მუჰაჯირობამდე, იხრებოდნენ ჩვენსკენ და ჩაჩბები, აჩბები, ინალფები, მარშანები, ემხები, მანები, აქირთები, ზვამბები, თარბები, ზუხბები, ქეცბები, ხინთბები, აკიჟბები, ლაცუჟბები, ხინტუბები, აბუხბები, ბუდბები, ყოლბები და სხვანი სამხრეთ–აღმოსავლეთისკენ – სამეგრელოსაკენ და იქცნენ კიდეც შესაბამისად შერვაშიძეებად, ანჩაბაძეებად, ინალიშვილებად, მარშანიებად, ემხვარებად, მარღანიებად, აქირთავებად, ზვამბაიებად, ხინთბაიებად, თარბაიებად, ზუხბაიებად, ქეცბაიებად, აკიჟბაიებად, ლაცუჟბაიებად, ხინტბაიებად, აბუხბაიებად, ბუდბაიებად ყოლბაიებად და ა.შ. ხოლო გასაბჭოების შემდეგ, როდესაც აფხაზეთი შემოვიდა ჯერ კონფედერაციის შემადგენლობაში, როგორც სახელშეკრულებლო რესპუბლიკა შემდეგ უფრო დაქვეითებული კონსტიტუციური უფლებებით (ავტონომია) საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, უფრო მეტად იჩინა თავი დაპირისპირებამ და აფხაზებმა ისევ იბრუნეს პირი ჩრდილო-დასავლეთისკენ და დაუბრუნდნენ თავიანთ საწყის მდგომარეობას.

რაღა თქმა უნდა, ასეთ დროს უფრო გონივრული იქნებოდა, გვეფიქრა იმაზე, თუ რა არ მოეწონათ მათ, რა იყო ერთი ან მეორე პროცესის მიზეზი, რა ისტორიული მოვლენები ედო ამას საფუძვლად, ვიდრე დღენიადაგ გაუთავებელი ძახილი: „აფხაზეთი საქართველოს ისტორიული ოლქია; აფხაზეთი ძირძველი ქართული მიწაა; აფხაზები აფსუები არიან და ისინი კასპისპირეთიდან არიან მოთრეულნი; რომ აფსილები და აბაზგები ქართველები იყვნენ“, როდესაც, როგორც ითქვა, ცნება „ქართველი“ და „საქართველო“ ჯერ კიდევ ბუნებაში არ არსებობდა. „რა უნდათ იმაზე მეტი, რაც გააჩნიათ?! თუ არ გაჩუმდებიან, ჩავქოლავთ, გადავუვლით და ა.შ.“ – ასეთი იყო ექსტრემისტებისა და ვაი-პოლიტიკოსების შეძახილები, რომელთაც გონივრულ პოლიტიკასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ამრიგად, აფხაზეთში დამარცხების და მისი გასხვისების მიზეზი ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის ხელისუფლების გონიერებას მოკლებული, წინდაუხედავი, ღალატის ტოლფასი საშინაო და საგარეო პოლიტიკის შედეგია. ცრუისტორიკოსებმა და ვაი-პოლიტიკოსებმაც დაძაბეს საზოგადოებრივი ვითარება და მეტად შეუწყვეს ხელი ჩვენსა და აფხაზებს შორის უთანხმოების ჩამოყალიბებასა და დაპირისპირებას, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ე.წ. სეპარატიზმში. ეგრეთწოდებული-მეთქი, რადგან ეს ტერმინი სრულფასოვნად ვერ ასახავს აფხაზეთში განვითარებულ საზოგადოებრივ მოვლენებს და პოლიტიკურ პროცესებს. უფრო სწორი იქნებოდა, ალბათ, რომ გვესაუბრა აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩამოწოლილ გაუცხოებაზე, უნდობლობაზე, განდგომაზე, დისტანცირებაზე და ა.შ. სიტყვა სეპარატიზმი კი სრულად ვერ ასახავს დაპირისპირებულ მხარეებს შორის წარმოჩენილ პრობლემებს, ამასთან ერთად, არაკორექტულადაც გამოიყურება.

ტერმინი სეპარატიზმი მომდინარეობს ლათინურიდან, სიტყვა „სეპარაციო“-დან და გამოთავისუფლებას, გამოყოფას ნიშნავს, რაც ბუნებრივ პროცესებსაც ესადაგება: მშობიარობისას ნაყოფი შორდება მშობლის უბეს და იწყებს დამოუკიდებელ არსებობას. ასეა ზოოსამყაროში და საერთოდ, ბუნებაში – ვაშლი ან მსხალი დამწიფებისას ვარდება მიწაზე, რაც ასევე გამოყოფის მაუწყებელია და ეს ნორმალური, ბიოლოგიური პროცესია. მედიცინაშიც იხმარება ხშირად ეს სიტყვა და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დასტაქარი ამა თუ იმ პათოლოგიურ წარმონაქმს დელიკატურად, ქსოვილების ზედმეტი დაზიანების გარეშე გამოჰყოფს. ეს ნიშნავს სეპარაციულ, ატრავმატულ (ტრავმის გარეშე) გამოყოფას.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში სეპარატიზმი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცირერიცხოვანი ერის, ეთნიკური უმცირესობის მიერ ცალკე, სამართლებრივი სუბიექტის სტატუსის მოპოვების მცდელობას, სახელმწიფოს ერთიანი ტერიტორიული სივრციდან გამოყოფის პოლიტიკას და პრაქტიკას გულისხმობს, თუმცა აფხაზეთში განვითარებული მოვლენების წარმოჩენა ცალსახად აფხაზურ სეპარატიზმად, ამ პროცესში მოპირისპირე მხარის ადგილისა და როლის გარეშე, არასწორი და, ამავდროულად, კონტპროდუქტიულია.

გარდასულ ჟამთა შეფასებისას ან მოსალოდნელი შედეგის განჭვრეტისას ჩვენში ხშირად ემოციები ჭარბობს, ვჩქარობთ და არ ვითვალისწინებთ ობიექტურად არსებულ ფაქტორებსა და პროცესებს. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ აფხაზების მჭიდრო მეზობლობა და მეგობრობა დიდ რუსეთთან, მისი შენიღბული თუ აშკარა წაქეზება ქართველების წინააღმდეგ. ვერ გავითვალისწინეთ, რომ რუსეთი, როგორც **„ყველა ჩაგრულის პატრონი და მზრუნველი“**, მაშინათვე ამოუდგებოდა აფხაზებს საქართველოს სუვერენიტეტის საზიანოდ და გაითამაშებდა ე.წ. აფხაზურ კარტს საქართველოს თავისკენ შემობრუნების მიზნით. ამას იგი გააკეთებდა, პირველ რიგში, იმიტომ, რომ უსაზღვროდ დიდია მისი გეოპოლიტიკური ინტერესები კავკასიაში და, კერძოდ,– საქართველოში. ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ ისიც, რომ, სწორედ ამ რეგიონში მისი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ჩვენი დიდი მეზობელი არ დაუშვებდა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიახლოებას საკუთარ საზღვრებთან. ეს არ შედიოდა და არ შედის რუსეთის ინტერესებში და რასაც აკეთებს, აკეთებს არა ერთმორწმუნე ქართველი ხალხის სიძულვილით (საზიანოდ კი!), არამედ თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომ ისარგებლა მან ჭკუათხელი სააკაშვილის უნიათობით, შემოიჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და ლამის თბილისამდე დამკვიდრდა. მერე შემოიღობა აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ-ოსეთიც და აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რაც ჩვენი უგუნურობითა და ხელშეწყობით მოხდა! ამ დროს ჩვენ გამარჯვებას ვზეიმობდით რუსეთ-საქართველოს ორდღიან ომში და ვმართავდით ცენტრალურ მოედნებზე საზეიმო ტაშ-ფანდურს...

**„ჩვენისთანა ბედნიერი, არის განა სადმე ერი?!“**

ჩვენ დღესაც ვერ ვაცნობიერებთ ბევრ სხვა გარემოებას. ვერ ვითვალისწინებთ, რომ ვერც ევროსაბჭო და ვეღარც ოკეანესგაღმელი ჩვენი მეგობარი ქვეყანა ვერ დაუპირისპირდება ჩვენს გამო რუსეთს. ეს თვალნათლივ დაგვანახა ბოლოხანს უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა – რუსეთი ვერ შეეგუა სტეპან ბანდერას და ფაშისტური „კარატელების“ მემკვიდრეების აღზევებას სლავურ ქვეყანაში – უკრაინაში და მხარი დაუჭირა იქ მცხოვრებ რუს მოსახლეობას. ისარგებლა ამით და დაიბრუნა (შეიძლება ითქვას, სამართლიანადაც!) თავისი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი – ყირიმი, რომელიც უგუნურმა ხრუშოვმა გააჩუქა მის მიერ უკრაინაში თავის დროზე ჩადენილი შავი საქმეების გადასაფარავად. ყირიმი რუსეთის ისტორიული ნაწილი რომ არის, ამაზე შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს. იგი იმპერატორმა ეკატერინე-მეორემ, გრაფ პატიომკინის სარდლობით, გაათავისუფლა ოსმალეთის ბატონობისაგან, ხოლო, ადმირალებმა უშაკოვმა და ნახიმოვმა ბოლო მოუღეს თურქეთის ბატონობას შავ ზღვაზე. შემდეგ იმავე იმპერატორის მიერ დაარსდა ყირიმში სევასპოტოლი და სიმფეროპოლი. ხოლო, მოგვიანებით, იოსებ სტალინმა აჰყარა ყირიმიდან თათარი მოსახლეობა და ასე გახდა იგი სუფთა რუსული ოლქი – 90% ეთნიკური რუსული მოსახლეობით. მოკლედ, არსებობდნენ უტყუარი ისტორიული და მორალური წინაპირობები იმისა, რაც მოხდა ამას წინათ ყირიმში. ამას ვერ შეცვლის ვერანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სანქციები რუსეთის მიმართ. როგორც არ გააკრიტიკონ რუსეთი, იგი თავისას არ დაიშლის. კრილოვისა არ იყოს, რუსეთი მოისმენს და თავისას გააგრძელებს. ამისთვის მას გააჩნია ყოველნაირი (ადამიანური, ეკონომიკური და სხვ.) უზარმაზარი რესურსი, გიგანტური ნაბიჯებით განვითარებად ჩინეთთან სიახლოვე, გამყარებული ხელშეკრულებით, რომლებიც უფლებამოსილს და მართებულს ხდიან მას, მოიქცეს ისე, როგორც მოეპრიანება. ასე რომ, რუსეთი მოუსმენს ყველას, მაგრამ უკან არ დაიხევს.

ჩვენც ხომ არ ვიტყოდით უარს ლორეს, ერუშეთის, ტაო-კლარჯეთის, საინგილოს თუ კაპადოკიად წოდებულ ლაზ-ჭანეთის შემოერთებაზე?!

აქ ასეთი ჩართვა გამოწვეულია არა იმით, რომ ძალიან მომწონს ის, რაც ხდება უკრაინაში, არამედ იმით, რომ ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვითვალისწინებთ რუსეთის თავისებურებას, მის ინტერესებს ჩვენს რეგიონში. ხშირად ხეების იქით ტყეს ვერ ვხედავდით და დღესაც ცუდად ვარჩევთ!

უნდა ვაღიაროთ, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბებული რეალობა ჩვენივე გაუაზრებელი მოქმედებების თუ უმოქმედობის შედეგია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს ის რეალობაა, რომლისკენაც თვითონვე შემოვაბრუნეთ ჩვენი ისტორია. აფხაზებსა და ოსებთან ჩვენი ურთიერთობა (რუსეთთანაც!) წავიდა იმ რელსებით, საითკენაც ჩვენ გადავწიეთ ისრები: აფხაზები და ოსები ჩვენ ჩავახუტეთ რუსებს! ეს ფაქტია და ეს უნდა გვახსოვდეს მათთან ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებისას.

რუსულ ეთნოფსიქოლოგიაზე ყველაზე კარგად რუსმა პოეტმა ფიოდორ ტიუტჩევმა თქვა: „Умом Россию не понять, Аршином общим не измерить: У ней особенная стать – В Россию можно только верить!“

გამოუცნობად და არაპროგნოზირებად რუსეთთან დაპირისპირება თავიდანვე განწირულია არასახარბიელო შედეგისთვის. ჩვენ კი დღენიადაგ ვიყავით დაკავებული მისი ლანძღვა-გინებით. ვერ ვითვალისწინებდით და დღესაც ვერ ვაცნობიერებთ მის ინტერესებს მოსაზღვრე რეგიონებში. სად არ ჩავუშვით ღუზა?! რუსეთმა ჩვენ ეს არ გვაპატია და შედეგსაც ვიმკით. თუ არ მოგვწონს მასთან მეზობლობა, გადავიტანოთ ჩვენი ქვეყანა მიწა-წყლიანად, ჩვენი ხალხით სხვაგან – იქ, სადაც უფრო მოგვწონს, მაგრამ, რადგან ეს შეუძლებელია, უნდა გამოვნახოთ საერთო ენა ჩვენს ღვთის მიერ ბოძებულ მეზობელთან და ვიცხოვროთ მის გვერდიგვერდ ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო არ არსებობს ცალკე, სხვა სივრცესა და სამყაროში, რომ ის მეზობლობს სხვა ქვეყნებთან და ვალდებული ვართ, გავითვალისწინოთ მეზობლების ინტერესებიც, მათ შორის – რუსეთის.

ჩვენ არ გავითვალისწინეთ ეს და, როგორც ითქვა, დღესაც არ ვადგივართ სწორ გზას – ვერც ევროკავშირი, ვერც ამერიკა და ვეღარც „ნატო“ ვერ აღადგენს დაკარგულ ტერიტორიებზე ჩვენს სუვერენიტეტს და ვერ დაგვიბრუნებს სახლებში ფუძეაყრილ მოსახლეობას. ასეთი საკითხის გადაწყვეტა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებების დადგენილება-დირექტივებით არ ხდება. „ნატო“ ჩვენ არაფერში გვჭირდება, მით უფრო, როცა მასში გაწევრიანება არარეალური ყოფილა. იმისთვის კი არ გააშენა რუსეთმა აფხაზეთში საფორტიფიკაციო ნაგებობანი და არ დააყენა ულტრათანამედროვე ბალისტიკური რაკეტები, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი მიიახლოვოს. არც „ნატო“ წამოეგება ასეთ ავანტიურაზე და საქართველოს საკუთარ რიგებში არ გააწევრიანებს. ეს გადაწყვეტილება „ნატომ“ რომ მიიღოს, რუსეთი მეორე დღესვე გადმოსვამს თავის საჰაერო და საზღვაო დესანტს, დააბანაკებს მათ ფოთსა და თურქეთის საზღვრებთან, ამასთანავე, მძიმე ჯავშანტექნიკით გაუდგება დიდგორიდან, თბილისის გავლით, გიუმრისკენ მიმავალ გზას. მაშინ კი პამპერსებითა და მინერალური წყლებით დატვირთული ამერიკული გემები ვერ უშველიან საქმეს.

დღემდე ვერ ვხვდებით, რისთვის სჭირდება საქართველო აშშ-ს? მას აინტერესებს ჩვენი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, თორემ ქართველი ხალხისა და ქვეყნის ბედი, მისი მომავალი, ჩირადაც არ უღირს. ოკეანესგაღმელ პარტნიოერბთან „მეგობრულად“ განვლილმა წლებმა და შიდაპოლიტიკურმა მოვლენებმა დაგვანახეს მათი ნამდვილი სახე. თუნდაც საფრანგეთის ექსპრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის აღიარება რად ღირს?! საქართველოში ჩამოსვლის წინ მას დაურეკა აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და უთხრა: „ნუ ჩაერევი მათ საქმეში, მიეცი რუსებს თბილისში შესვლის საშუალება, რუსეთმა აიღოს თბილისი“...

**ნაპო მესხია**

---

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს მადონა და თამაზ მაქაცარიებს დედის და ელდარ გოგოხიას სიდედრის**

**ნორა შენგელაიას**

**გარდაცვალების გამო**

## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# „ლივერპულთან" დაპირისპირება ჩემთვის დაუვიწყარია"



თქვენს სამსჯავროზე რამაზ შენგელია, ალექსანდრე ჩივაძე და ვლადიმერ გუცაევი წარსდგებიან, რომლებიც ქართველთა ევროპულ თავგადასავლებზე ისაუბრებენ.

**რამაზ შენგელია:** „სანამ „ლივერპულს" ვესტუმრებოდით, მწვრთნელებმა ინგლისელთა თამაშის ვიდეოჩანაწერი გვანახეს, სადაც მათ მეტოქეს 6:0 მოუგეს. ცოტა არ იყოს, შევშინდი და „ენფილდზეც" აღელვებული გავედი. ამის გამო საწყის წუთებში რეი კლემენსთან ორჯერ პირისპირ გასულმა, კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ ნელ-ნელა დავწყნარდი. ისე, იმ შეხვედრის წინ მთელი „დინამო" ნერვიულობდა – საშას წინა ღამით საერთოდ სიცხემ აუწია... თუმცა, მოვახერხეთ და მხოლოდ ერთი ბურთით წავაგეთ – 1:2. სწორად გამიგეთ, კი არ მეამაყება ის მარცხი, მაგრამ ის „ლივერპული" მაშინ ევროპის კი არა, მსოფლიოს საუკეთესო კლუბი იყო და ყველა ჩვენ განადგურებას ელოდა. საპასუხო თამაშში ახალკაცმა ისე მოგვამზადა, ჩვენი გამჩერებელი კაცი არ იყო – 3:0 გავიმარჯვეთ!

თასების თასის ტრიუმფისკენ „დინამო" გეგმაზომიერად მიდიოდა. მანამდე, წინა სეზონებში, „ჰერტასთან", „გრასჰოპერსთან", „ჰამბურგთან" წავაგეთ. მწვრთნელებმა ამ თამაშებიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს და საბოლოოდ მიზანსაც მივაღწიეთ! შემთხვევით დიდ ტურნირს ვერ მოიგებ – „დინამომ" დიუსელდორფის ტრიუმფამდე სვლა რამდენიმე წლით ადრე დაიწყო.

მე თუ მკითხავთ, ფინალში ლამაზი სანახაობა იშვიათია. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ მომზადებას. თასების თასის ფინალშიც ასე არ იყო? სანახაობრივად არ იყო კარგი მატჩი – ახლავე შემიძლია საკავშირო პირველობის მინიმუმ 10 შეხვედრა გავიხსენო, რომელიც „კარლ ცაისთან" თამაშს ორი თავით სჯობდა... დიუსელდორფში „დინამომ" ჩვეულად ვერ ითამაშა და მიუხედავად იმისა, რომ ვაგებდით, მაინც მოვიგეთ. თითოეულ ჩვენგანს ამ მატჩის მნიშვნელობა ძალიან კარგად ესმოდა! ვფიქრობ, 1981 წლის 13 მაისი „დინამოსთვის" უფრო მნიშვნელოვანი იყო ვიდრე „კარლ ცაისისთვის".

**ვლადიმერ გუცაევი:** „დინამომ" პირველი საერთაშორისო ტურნირი – „კოლუმბის კარაველა" – სწორედ კოტრიკაძის ხელში მოიგო. 1973 წელს ესპანეთის ქალაქ უელვაში ტრადიციულად გათამაშდა ეს თასი. ჩვენს გარდა ამ ძალიან ლამაზი პრიზისთვის ჩემპიონთა თასის გათამაშების მომავალი ფინალისტი მადრიდის „ატლეტიკო", პორტუგალიის ნაკრების საბაზო გუნდი ლისაბონის „ბენფიკა" და ინგლისის ჩემპიონი „დერბი ქაუნთი" იბრძოდნენ. ჩვენ ჯერ მადრიდის „ატლეტიკო" დავამარცხეთ პენალტების სერიაში, ფინალში კი „ბენფიკას" 3:1 მოვუგეთ – 2 გოლი მე გავიტანე, ერთიც დათომ. „დინამოს" ისტორიაში პირველი საერთაშორისო ტიტულის მოგებისთვის თითოეულს დაახლოებით 50 დოლარი დაგვირიგეს. სასაცილოა არა?

განახლებული „დინამოს" სტადიონი 1976 წლის ზაფხულში გაიხსნა, პირველ საშინაო მატჩში კი უელსის „კარდიფ სიტის" ვუმასპინძლეთ. ეს იყო უეფას თასების თასის პირველი ეტაპის საპასუხო თამაში. დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ მატჩში პირველ გოლს გავიტანდი და როცა გასახდელში თბილისის კონსერვატორიის რექტორი მოვიდა და სპეციალური პრიზი მოიტანა პირველი გოლის ავტორისთვის, ხმამაღლა ვთქვი, ჩემთან დადგით, პირველ გოლს მე შევაგდებ-მეთქი! წინათგრძნობა 23-ე წუთზე ამიხდა – ანგარიში გავხსენი! ის თამაში 3:0 მოვიგეთ.

ტურნირის მეორე დღეს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელებს ერთ-ერთი ესპანური კლუბის მესვეურები ესტუმრნენ და ჩემი დათმობა სთხოვეს. ნუ, გარიგება რომ არ შედგებოდა, ეს ვიცოდი, მაგრამ პასუხმა გამაოგნა: **„საბჭოთა სპორტსმენს ვლადიმერ გუცაევს თქვენი კონტრაქტი არ სჭირდება. მას ყველაფერი აქვს: ბინაც და თვით „ვოლგაც"**! როგორია? ესპანელებს უკითხავთ, გვესმის, რომ ის კარგ პირობებშია, ბინაც გასაგებია, მაგრამ ეს **"ვოლგა"** რა მანქანაა ასეთიო... ამ სიტყვებს ომარ სიამაშვილიც დაგიდასტურებთ, მაშინ ის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი იყო და მადრიდში გვახლდა.

ხშირად მსმენია, რომ 1979 წელს **"ლივერპული"** უფრო ძლიერი იყო, ვიდრე **"ჰამბურგი"** და რომ "დინამომ" გერმანელებთან შემთხვევით წააგო. ამ აზრს არ ვიზიარებ: ის "ჰამბურგი" იმ "ლივერპულზე" გაცილებით ძლიერი იყო და ეს ჩვენ მატჩებში ნათლად გამოჩნდა. თანაც, გერმანელებს კევინ კიგანი ჰყავდათ, ასეთი დონის მოთამაშე კი "ლივერპულში" ნაღდად არ იყო!

**ალექსანდრე ჩივაძე** „ლივერპულთან" ის ორი ლეგენდარული დაპირისპირება ჩემთვის დაუვიწყარია – ჩვენ პირველად ვხვდებოდით მსოფლიოს საუკეთესო კლუბს, „ლივერპული" კი მაშინ სწორედ ასეთი იყო. უნდა გენახათ რა სიტუაცია დაგვხვდა „ენფილდ როუდზე": სავსე, მოგუგუნე ტრიბუნები, თავზეხელაღებული ფანები... გულშემატკივრები ხელით გვიჩვენებდნენ, 10:0-ს მოგიგებთო... მეამაყება, რომ ასეთ თამაშში და ასეთ სტადიონზე გოლი გავიტანე: რეი კლემენსი შორეულ კუთხეში ელოდა დარტყმას, მე კი ახლოში დავურტყი. უნდა გენახათ რა მოხდა! გულშემატკივრები უცბად დადუმდნენ, რაღაცნაირი, შემზარავი სიჩუმე ჩამოწვა. მართალია მხოლოდ რამდენიმე წამით, მაგრამ მაინც.

როცა მეტოქის კარს ვუახლოვდებოდი და დარტყმას დავაპირებდი, წამით პაუზას ვაკეთებდი და მერე, მეკარე რომ კუთხეს ირჩევდა, საპირისპირო მხარეს ვურტყამდი. კლემენსს სწორედ ასე გავუტანე და ბევრ სხვასაც, სხვათა შორის.

რატომ იყო ის „ლივერპული" დიდი გუნდი? ჯერ ერთი, უმაღლესი დონის ფეხბურთელები ჰყავდა: კენი დალგლიში, გრემ სუნესი, ალან ჰანსენი, რეი კლემენსი... და მწვრთნელი? ბობ პეისლი ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს ტაქტიკოსად მიმაჩნია – მისი გუნდი მოკლე პასებით თამაშობდა და ბურთს ძნელად თმობდა. ამას დაუმატეთ დიდებული წარსული, რომელიც განსაკუთრებით მძაფრად „ენფილდ როუდზე" იგრძნობოდა... თბილისში „ლივერპულის" კარისკენ პირველ ტაიმში არც დაგვირტყამს, თუმცა ეს უიღბლობის ბრალი არ იყო – ასეთი ტაქტიკა აირჩია მწვრთნელმა. შესვენების შემდეგ ჩვენი შემჩერებელი აღარავინ იყო – ერთიმეორეზე უკეთესი გოლები გავიტანეთ!

„ჰამბურგზე" რა უნდა ვთქვა? მხოლოდ ის ფაქტი, რომ სწორედ ამ კლუბის მაისურით თამაშობდა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, მგონი, ყველაფერზე მეტყველებს. კევინ კიგანი დიდებული იყო, მაგრამ სხვებიც ძალიან ძლიერნი იყვნენ: რუდი კარგუსი, მანფრედ კალცი, ივან ბულიანი... ორივე შეხვედრაში უმაღლეს დონეზე ითამაშეს, ჩვენ კი, გუნდმა, რომელსაც ზედიზედ ოთხი პრინციპული მატჩი არასდროს ჩაგვეტარებინა, ვერაფერი გავაკეთეთ. ამიტომაც დავმარცხდით.

როტერდამში, „ფეიენოორდთან" საპასუხო თამაშზე გასახდელშივე ვიგრძენი, რომ მსაჯები რაღაცას გვიმზადებდნენ. ასეთი რანგის მატჩების წინ ყოველთვის შემოდიოდნენ არბიტრები და ბუცებს გვიმოწმებდნენ, იქ კი მსგავსი არაფერი მომხდარა. მთავარი არბიტრი ავსტრიელი იყო, გვარად ვიორერი. რაც მან იმ დღეს იკადრა... არც ვიცი რა ვთქვა, ძალიან უნამუსოდ მოიქცა!

თასების თასის ფინალის წინ, სანამ გერმანიაში გავემგზავრებოდით, საქართველოს მაშინდელმა პირველმა პირმა ედუარდ შევარდნაძემ გვიმასპინძლა. ფინალის წინ, ვარჯიშზე ცხვირში ბურთი მომხვდა და სისხლი წამსკდა, საღამოს კი სიცხემ 40 გრადუსამდე ამიწია. წამლის მიღება არ შეიძლებოდა და გუნდის ექიმმა, ცხონებულმა ზაქრო თელიამ მამაპაპური მეთოდით მიმკურნალა. ღამით ოფლში გავიწურე, სამაგიეროდ, დილით მშვენივრად ვიყავი".

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

ძირითადად ქალი ახალგაზრდაა, შემდეგ ისევ ახალგაზრდა, შემდეგ ნაკლებად ახალგაზრდა, მერე ახალგაზრდულად გამოიყურება და ამასობაში კვდება.

* * *

– თუ შეიძლება, ფული წინასწარ გადაიხადეთ! – ეუბნება ოფიციანტი კლიენტს.
– რაშია საქმე?
– თქვენ სოკო შეუკვეთეთ და, რა ვიცი, ამბობენ, ახლა სოკო საშიშიაო...

* * *

– ღალატობდა ევა ადამს? – ეკითხებიან სტუდენტს გამოცდაზე.
– რა თქმა უნდა.
– საიდან დაამტკიცებთ?
– თუ არ ღალატობდა, მაშინ ადამიანი მაიმუნისაგან როგორ წარმოიშვა?

* * *

ერთ-ერთ ქართულ საჯარისო ქვედანაყოფში სერჟანტი მოახსენებს პოლკოვნიკს:
– დააჯილდოეთ კაპრალი. მან მთელი პოლკი გადაარჩინა სიკვდილს!
– როგორ?
– მზარეული მოკლა.


## გარდაიცვალა სახალხო მკურნალი, რომელმაც მოუგო ომი მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, მის დაძირვას რომ ცდილობდა.



დომენტი ბაზნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებს მისი ვაჟიშვილი ზეზვა.*

*კოორდინატებია:* თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51



მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან


ISSN 1987-8966 ilori

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge